

# 24 საათი

ბაზატი 24 საათი

ხუთშაბათი 12 მარტი, 2009 წელი. №54 (2092)

ფასი 50 თეთრი

მთავრობა და ანტიკორუფციული საბჭო - დავნილთა პრობლემატის პირისპირ

A3



პიკასო: სიღნაღი-თბილისი-ბათუმი

A10



ლავროვის რთული ვიზიტი აზერბაიჯანში

A8



## ბაბაფშა მათად ერთბული კოკოითი

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რუსულ ბაზებს ტერიტორია 99 წლით გამოეყოფათ. ამის შესახებ მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა რუსული სააგენტოებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. ედუარდ კოკოითის თქმით, სამხრეთ ოსეთის მთავრობის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, 99 წლით გამოეყოფა რუსი მესაზღვრეების დისლოკაციისთვის. "ფიქრობ, ამდენივე წლით გამოვყოფთ ტერიტორიას რუსული ბაზებისთვისაც, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს. იმედს გამოვთქვამ, რომ რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის საზღვრების ერთობლივი დაცვის შესახებ შეთანხმება უახლოეს მომავალში გაფორმდება," - აცხადებს კოკოითი. მსგავსი გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის მარიონეტულმა ხელისუფლებამაც მიიღო, თუმცა აფხაზეთმა, კოკოითისგან განსხვავებით, რუსებს მიწა მხოლოდ 49 წლით გამოუყვებს.

ნათია მსხილაძე

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი მოსკოვისთვის ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მიერ ტერიტორიის 99 წლით გადაცემის შესახებ მხარეებს შორის მოლაპარაკებებს უკანონოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ შესაბამისი ხელშეკრულება ანულირებული იქნება.

იაკობაშვილის მტკიცებით, თბილისი ყველა ღონეს იხმარს, რათა რუსული ბაზები საქართველოს

ტერიტორიაზე არა თუ 99 წელიწადს, ერთი წლითაც არ დარჩეს. "კოკოითის განცხადებები სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ. მისი სიტყვისა უკვე ცხინვალის მოსახლეობას და კრემლსაც აღარ სჯერათ. რუსეთის საოკუპაციო ძალები საქართველოს ტერიტორიიდან რაც შეიძლება მალე გავლენ და ამას ოთხმოცდაცხრამეტი, ცხრამეტი ან ცხრა წელი არ სჭირდება," - აცხადებს იაკობაშვილი.

ბაზრძალაბა A3 გვარძაბა

## "ერთადერთი გზა ჩვენი დემოკრატიული განვითარებაა"

ლევან ღირსიაშვილი

გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩის ირაკლი ალასანიას პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებას საზოგადოების ნაწილი - იმედით, ნაწილიც კი სკეპტიკურად და კრიტიკულად შეხვდა. მისი პოლიტიკური გუნდი, რომელიც პროფესიონალი და გამოცდილი დიპლომატებით არის დაკომპლექტებული, პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს და საპროტესტო აქციებისთვისაც მზად არის. როგორია მათი ხედვა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და რა ნაბიჯების გადადგმას აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, - ამ საკითხებზე საქართველოს ყოფილი ელჩი და "ალანის საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია "24 საათს" ესაუბრა.

ბაზრძალაბა A4 გვარძაბა



AFP · 2009

### 24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



ჰი ჰი ჰი  
შენი სადაზღვეო ჯგუფი

### 24 საათი

### The New York Times

### Weekend

1 მარტიდან

საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ელირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ელირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ----- 52 ლარი;
- 6 თვით ----- 26 ლარი;
- 3 თვით ----- 13 ლარი;
- 1 თვით ----- 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



### უცხოურ მაგისტრატურაში ჩარიცხულ სტუდენტებს სახელმწიფო დააფინანსებს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს მოქალაქეების მაგისტრატურაში სწავლებას მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სრულად დააფინანსებს.

როგორც განათლების და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, სამაგისტრო გრანტების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ 2009 წლის თებერვლის ბოლოს მიიღო და ამისთვის ბიუჯეტიდან 3 500 000 ლარი გამოყო.

გრანტები გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომლებმაც სხვადასხვა სპეციალობებზე მაგისტრის ხარისხის მისაღებად სწავლის უფლება უცხო ქვეყნის მაღალრეიტინგულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოიპოვეს. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრის ხარისხის მიღების მიზნით გაცემული თანხა დაფარავს არა მარტო სწავლის, არამედ სხვა ხარჯებსაც, კერძოდ - საცხოვრებელი ბინის, მგზავრობის და ა.შ.

სასწავლო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შერჩეული კანდიდატისთვის გამოსაყოფი გრანტი გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეებზე, რომელთა ასაკიც არ აღემატება 40 წელს.

სტუდენტმა თავად უნდა მოიპოვოს უფლება - ჩარიცხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. მაგისტრატობის მსურველებს საკონკურსო პირობები შეუძლიათ იხილონ საიტზე - WWW.DRF.ORG.GE.

დაფინანსება ვრცელდება შემდეგ სპეციალობებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ხელოვნება, მედიცინა და სხვა.

იმ უნივერსიტეტების და სპეციალობების ჩამონათვალი, სადაც მაგისტრატურის სწავლებას სახელმწიფო დააფინანსებს, განთავსებულია განათლებისა და მეცნიერების საიტზე.

2009 წლის 30 მარტიდან ფონდი იწყებს განაცხადების ელექტრონულ მიღებას. ყველა კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს, შეუძლია ფონდის ვებ გვერდზე შექმნას პერსონალური ფაილი, სადაც აუცილებელი იქნება საბაკალავრო ფორმის შევსება და დამატებითი დოკუმენტაციის ატვირთვა. განაცხადების მიღება წარმოებს 26 ივნისამდე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროგრამის ადმინისტრირებას საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სსიპ - განვითარების და რეფორმების ფონდის მეშვეობით ახორციელებს.

მარი ახსიაშვილი

# დიდი ბიკრების პატარა ქვეყანა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს დაღუპული 170 ჯარისკაცის ოჯახს საცხოვრებელი ბინები გადასცა. გუშინ სააკაშვილი აეროპორტის დასახლებაში იმყოფებოდა. აქ მდებარეობს დაღუპულთა ოჯახებისთვის გადაცემული მშენებარე სახლები. "სამხედრო ქალაქში", პრეზიდენტთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრიც მივიდნენ. სააკაშვილმა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული ოჯახის წევრებს მიმართა და მათთვის ბინების გადაცემის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.

"იმ ხალხის 80 პროცენტი, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად იცავდა საქართველოს დედაქალაქს, თბილისელი არ არის. იმ ადამიანების ოჯახები, ვისი გმირობის გამოც

დღეს თბილისი ფეხზე დგას, იმსახურებს ბინას თბილისში. ჩვენ ეს გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროსა და პარლამენტთან ერთად მივიღეთ და ამ გადაწყვეტილებას დღეს ვასრულებთ. დაუმარცხებელია ერი, სანამ მას ჰყავს ისეთი შვილები, როგორებიც თქვენმა ოჯახებმა შობა," - განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, საქართველო დიდი გმირების პატარა ქვეყანაა და საქართველო ისტორიაში მხოლოდ იმის გამო შემორჩა, რომ ყოველთვის იყვნენ ქვეყნის დამცველი გმირები. სააკაშვილმა გაიხსენა მეოცე საუკუნის მიმართ და მათთვის საბჭოთა ჯარის აგრესია სხვადასხვა ქვეყნების მიმართ. "ჩვენ გავბედით ის, რაც ვერ გაბედა ძალიან ბევრმა ქვეყანამ. სწორედ იმ ტანკებმა, რომლებიც თბილისში ვერ შემოვიდნენ, უპრობლემოდ აიღეს ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ავღანეთი," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. დაღუპული ჯარისკაცე-

ბის ოჯახებთან შეხვედრისას მან ქვეყნის დღევანდელ უსაფრთხოებაზეც ისაუბრა. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ომის განახლების ალბათობა შემცირებულია, თუმცა ამის აბსოლუტური გარანტია არ არსებობს. სააკაშვილის თქმით, საქართველოს მთავარი გამოწვევაა, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს იმ წარმატებული განვითარების გზას, რომელიც აგვისტოს ომამდე ჰქონდა. "ამას უნდა მოთმინება, ერთიანობა, სულგრძელობა, დიალოგი, გამბედაობა და სამშობლოს სიყვარული. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა ქვეყნის საბოლოო გამთლიანებისთვის. გამონჯევა ბევრია, მაგრამ დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს შეიარღვეულ ძალებს სჭირდება საზოგადოების მხრდაჭერა. საქართველოს ჯარი გაათმავლებული ტყემპით მოემზადება, რათა ქვეყანაში იყოს მშვიდობა არა ომისთვის, არამედ იმისთვის, რომ აღარავინ აღარასდროს

სცადოს ომი. ჩვენ მთავარ ამოცანებს ბოლომდე მივიყვანთ და ქვეყნის სახელმწიფოებრიობა საბოლოოდ ამით ჩაბეტონდება," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზეც ისაუბრა. "ჩვენმა არაკეთილმოსურნემ ზუსტად იცის, რომ ციხე მხოლოდ შიგნიდან ტყდება. მაგრამ, საქართველოს დაჩოქება შეუძლებელია, თუ საქართველო არის ერთიანი და სტაბილური. მე გამოვირცხავ, რომ ვინმემ გაბედოს ამ მშვიდობის შეწყვეტა. ჩვენი ბიჭების სხოვნისადმი მთავრი პატივისცემა იქნება ის, რომ საქართველო გახდება თანამედროვე, წარმატებული ქვეყანა. ასეთი ქვეყნის ერთიანობას არაფერი დაემუქრება. ეს არის ჩვენი ისტორიული გამოწვევა და უახლოესი ამოცანა," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

საკუთარი ინფორმაცია

## ოპოზიციური ქრონიკა

### დათო გაიხსონია

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკურ ოპოზიციას ფული ცუდი საქმეებისთვის შესდის, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები ამ ბრალდებას პერმანენტულად პასუხობენ. გუშინდელ პრესკონფერენციაზე "კონსერვატიული პარტიის" წევრმა გიგა ბუკიამ განაცხადა, რომ "საქართველოს ხელისუფლება მალავს ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობის ფინანსურ პარამეტრებს, მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი დანტერესებულია ოპოზიციური პარტიების ფინანსური შემოსავლების გამჭვირვალობით." ბუკიას თქმით, პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობის დაფინანსების საკითხი თავიდანვე ბუროსით იყო მოცული. წინა მონვევის პარლამენტში "კონსერვატიული პარტიის" წევრების მიერ აღნიშნული რეზიდენციის დაფინანსების შესახებ დასმული შეკითხვები უპასუხოდ რჩებოდა. "კონსერვატორებმა" 4 წელია, ვერ მოაპოვეს ზუსტი ინფორმაცია ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობისთვის განეული ხარჯების შესახებ. "ჩვენ ვითხოვთ იმ დოკუმენტაციის მონოდებას, თუ რა თანხა დაიხარჯა და უნდა დაიხარჯოს ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობაში." "კონსერვატორების" ინფორმაციით, ეს 500 მილიონ ლარზე მეტია. მაგრამ, ამ სა-

კითხის არც დადასტურება და არც უარყოფა ოფიციალურად არ მიგვიღია," - განაცხადა გიგა ბუკიამ.

პარლამენტს გარეთ მყოფმა პოლიტიკურმა პარტიამ რეზიდენციის მშენებლობის ხარჯების გასარკვევად რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრ ლაშა ჟვანიას მიმართა, თუმცა მინისტრმა აღნიშნულ საკითხზე "კონსერვატორებს" პასუხი არ გასცა. გიგა ბუკიამ განმარტა, რომ ჟვანიამ ოპოზიციონერები კახა ბენდუქიძის მიერ შექმნილ შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფასთან" გადაამისამართა. ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობისთვის განეული ხარჯების დასადგენად "კონსერვატიული პარტია" აგრძელებს ინფორმაციის მოძიებას. "აუცილებლად მივმართავთ შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფას", რათა აღნიშნული საკითხის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მოვიპოვოთ," - დასძინა ბუკიამ.

### ალასანიას დახურული დიალოგი დევნილებთან

გუშინ "ალიანსი საქართველოსათვის" ლიდერი ირაკლი ალასანია აფხაზეთიდან დევნილებს თბილისში, კინოს სახლში შეხვდა. შეხვედრის დაწყებამდე ალასანიამ განაცხადა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებთან იმ მუშაობის შედეგების შე-

ჯამებას აპირებს, რაც მან გაერო-ში, საქართველოს მისიის ხელმძღვანელობის დროს გასწია - კერძოდ, დევნილების პრობლემებისა და კონფლიქტის დარეგულირების კუთხით. გარდა ამისა, ალასანიამ კომენტარი გააკეთა პოლიტიკური ბრძოლის შესახებაც. მისი თქმით, "ალიანსი საქართველოსთვის" აქტიურ კონსულტაციებს მართავს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან, რათა საპროტესტო აქციის შესახებ ერთიანი გეგმები შემუშავდეს. მან პოლიტიკური ოპოზიციისთვის პრიორიტეტულ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. "ახლა საუბარია მხოლოდ ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლის აუცილებლობაზე. საპრეზიდენტო კანდიდატების საკითხი მას შემდეგ დადგება, რაც საქართველოში თავისუფალი არჩევნები დაინიშნება," - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ამის შემდეგ ალასანიამ ყურნალისიტებს სთხოვა, შეხვედრა დაეტოვებინათ და მისთვის საშუალება მიეცათ, დევნილებთან შეხვედრა სამუშაო დიალოგის რეჟიმში გაეგრძელებინა. ოპოზიციური ალიანსის ლიდერმა დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ დევნილებთან საუბარი, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო საქართველოს დღევანდელ ვითარებასა, ქვეყნის განვითარების პერსპექტივებსა და მის მშენებლობაში დევნილი საზოგადო-

ების თანამონაწილეობას. ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა წინაშე თავს ანგარიშვალდებულად ყოველთვის მიიჩნევდა - მაშინაც, როცა ის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სტრუქტურებში მუშაობდა და იმ პერიოდშიც, როცა გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე იყო. მისი თქმით, აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენლობის მუშაობის მთავარი მიზანი საერთაშორისო ასპარეზზე დევნილთა პრობლემების წარმოჩენა და მათი გადაჭრის გზების ძიება იყო. ირაკლი ალასანიამ განმარტა, თუ რა არის კონფლიქტის გადაჭრისკენ მიმართული პირველი რიგის ამოცანები. "აუცილებელია უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შექმნა, რათა არ მოხდეს კონფლიქტის ზონებში დაძაბულობის ხელახალი ესკალაცია. ასევე, უმნიშვნელოვანესია აფხაზეთთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის აღდგენა და ნდობის აღსადგენად საერთაშორისო პროგრამების ამუშავება. უნდა დაიწყოს რუსეთთან ურთიერთობის ნაბიჯ-ნაბიჯ ნორმალიზება, რაც მიმართული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისა და რუსული მხარის მიერ დაღებული ვალდებულებების შესრულებისკენ," - აღნიშნა ალასანიამ.

საკუთარი ინფორმაცია

## მორიბი აფეთქება ქუბურხინში

ჭუბურხინჯში, გალის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვართან აფეთქება მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, კვეთისანინაალმდეგო ნალმზე დეტე-ს მარკის ტრაქტორი აფეთქდა, რომელსაც გალის მცხოვრები რამინ ახალაია მართავდა. შემთხვევა ე.წ. "საქობალოს ფონ-

თან" მოხდა. აფეთქების შედეგად ტრაქტორი დაზიანდა, ახალაია კი მსუბუქად დაშავდა. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. სოხუმი "ქართულ დივერსიულ ჯგუფებს აფხაზი სამართალდამცველი ორგანიზაციის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მზადებაში" ადანაშაულებს.

გალის აფხაზური მილიციის უფროს ლოურენს კოდონიას მტკიცებით, ნალმი, რომელზეც სალაამოს, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ადგილობრივი მკვიდრი სულხან გულუა საკუთარი ავტომატსანიით აფეთქდა, შენაძლოა, ქართული დივერსიული ჯგუფების მიერ იყოს დატოვებული.

ლი. "ნალმი შესაძლოა, ქართულმა დივერსიულმა ჯგუფებმა იმ სამართალდამცველი ორგანიზაციის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის განხორციელების მიზნით დატოვეს, რომლებიც ღამით ამ რაიონში პატრულირებენ," - განაცხადა კოდონიამ.

საკუთარი ინფორმაცია

**გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "გზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუაშვილი, პაატა მუშაბიძე.**  
**რედაქცია:** სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღონისაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალავანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშვილი (რეგიონი), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი:** ირაკლი ლევაჯა ტელ: 899 22 09 49. **მომხმარებლის ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუვაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყავლაშვილი  
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge







# "ერთადერთი გზა ჩვენი დემოკრატიული განვითარებაა"

პირველი გვერდიდან

- ბატონო ირაკლი პრეზიდენტ სააკაშვილისადმი წაყენებული ულტიმატუმის ამონაწერის შემდეგ თქვენი პოლიტიკური აღიარების მთელი საქართველოს ფარგლებში ფართომასშტაბიან მოქმედებებზე გადავიდა. კონკრეტულად რას ითვალისწინებს ეს მოქმედებები?

- ჩვენ როგორც განვაცხადეთ, უკვე ვახდენთ შტაბების ფორმირებას როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებშიც, რათა მოხერხდეს სახალხო პლემბისციტის გამართვა. ამით დავანახებთ პრეზიდენტს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის ნებას, რაც ხელისუფლების კონსტიტუციურ და მშვიდობიან ცვლილებას გულისხმობს. ვფიქრობ, რეფერენდუმის დანიშვნა შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი იყო. მართალია, ოპოზიციური ძალების ძალიან დიდ ნაწილს არ ჰქონდა დადებითი დამოკიდებულება ამ იდეისადმი, რადგან ფიქრობდნენ, რომ ეს ახანგრძლივებდა არსებული ხელისუფლების ვადას, მაგრამ ჩვენ მაინც მივიჩნევდით, რომ ეს კონსტიტუციური გზა იყო. პრეზიდენტს რეფერენდუმის დანიშვნის უფლება რომ გამოეყენებინა, რეალურად ეს იქნებოდა არსებული რთული სიტუაციის განმუხტვა. თუმცა პრეზიდენტმა, სამწუხაროდ, ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღო.

- როგორ ფიქრობთ, რატომ არ წავიდა პრეზიდენტი ამ ნაბიჯზე?

- მან კარგად იცის საზოგადოების დამოკიდებულება მისდამი და იმ პროცესებისადმი, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აგვისტოს იმის შემდეგ აღმოჩნდა. ამდენად, მან კარგად იცოდა, რომ რეფერენდუმის შედეგები მისთვის ნეგატიური იქნებოდა. რაც შეეხება ჩვენს შემდგომ მოქმედებებს, ჩვენ, ხელმძღვანელებს პარალელურად, აქტიურად ვიმუშავებთ ელექტორატთან, მოსახლეობასთან და მაქსიმალურად თითოეულ მოქალაქესთან, რათა გავაცნოთ ახალი ხედვა, თუ როგორ წარმოგვიდგენია განვითარების სხვადასხვა სფეროს მოწყობა - იქნება ეს საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და სხვ. ამ კუთხით ჩვენი საქმე-პერტო ჯგუფები მუშაობენ და საქართველოს მოქალაქეებთან უკვე რეალური პროგრამით მივალთ. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მთავარი არ არის სააკაშვილის გადადგომა - აუცილებელია, ხალხმა იცოდეს, თუ რა იქნება მერე და როგორ გააგრძელებს ქვეყანა ცხოვრებას სააკაშვილის შემდეგ. ბუნებრივია, მთავარი აქცენტი გადატანილია ჩვენი მოსახლეობის ნების მშვიდობიან გამოხატვაზე, იქნება ეს საპროტესტო აქცია თუ სხვა ქმედება. ყველა ეს ნაბიჯი კონსტიტუციის მკაცრ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. ასევე მოვუწოდებთ ხელისუფლებას და სახელისუფლებო ორგანოებში მომუშავე ხალხს, რომ მკაცრად დაიცვან კანონი. ჩვენ ვაპირებთ ძირითად სახელისუფლო ორგანოებზე მკაცრი მონიტორინგის განხორციელებას. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა ამაღლდეს სამოქალაქო კონტროლი ხელისუფლების შტოებზე. ნებისმიერი უკანონობა, რომლის ჩადენასაც ხელისუფლება დააპირებს, ჩვენ მოსახლეობისთვის საფრთხი უნდა გავხადოთ, რათა იმ ადამიანზე, ვისაც ხელისუფლების დაკლებების შესრულება უხდება, მორალური და საზოგადოებრივი ზენოლა განხორციელდეს. ვაცხადებ, რომ მათი საქმიანობისთვის განმსაზღვრელი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ კანონი და არა ვინაო პარტიული ინტერესი, თუნდაც ეს პრეზიდენტის პარტია იყოს.

- საჯარო განცხადებების გარდა, კიდევ რა ბერკეტებით შეძლებთ მონიტორინგის განხორციელებას ხელისუფლების სტრუქტურებზე?

- რა თქმა უნდა, ზენოლის სხვა მეტოდებიც არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მოხ-



დეს საზოგადოების გაფრთხილება და ხალხის ყურადღების ცენტრში მოქცევა ესა თუ ის უკანონო გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ ამა თუ იმ დანახვებულს პიკეტირებას კანონის ფარგლებში. ჩვენი მთავარი მოვალეობა და მიზანი იქნება რეალური ინფორმაციის მიღება, თუ რა ხდება ამა თუ იმ ორგანოში, და როგორც კი მივხვდებით ასეთ დადასტურებულ ინფორმაციას, დაიწყება საზოგადოებრივი მოკვლევა ამა თუ იმ ფაქტზე. ბუნებრივია, ძალიან დიდი როლი ეკისრებათ ჟურნალისტებს და

რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა სხვადასხვა გზით მიიღოს ობიექტური ინფორმაცია.

- ზოგიერთმა ექსპერტმა უარყოფითად შეაფასა თქვენ მიერ რადიკალური მოქმედების დაწყება. ვადაშლილი არჩევნების და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნის ნაცვლად, გირჩიათ ხელისუფლების ოპონირება კონკრეტულ საკითხებზე, როგორც-მეც, ადამიანის უფლებები და ა.შ.

- ეს ხელისუფლების და ოპოზიციის ურთიერთობის ძალიან ნორმალური

ციონალური ფორმაა. აი, სწორედ ამის შეცვლაა ჩემი პოლიტიკური გუნდის მთავარი ამოცანა. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს თემატური საკითხების ორგანიზაციაში. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ გვაქვს ექსპერტული ჯგუფები, რომლებიც მალე სრული მასშტაბით ამოქმედდებიან და დადებენ ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით განვითარების სტრატეგიას და იმ მოდელს, რომელიც ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. ეს მხოლოდ მოსახლეობისთვის არ კეთდება. ჩვენი ეს ხედვა ხელისუფლებასაც უნდა გავუზიაროთ და ვაჩვენოთ, რომ ქვეყნის განვითარებისთვის სწორი გზაც არსებობს. რაც შეეხება პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას, აქ ჩემი და დანარჩენი ოპოზიციური სექტორის ხედვა ერთმანეთს ემთხვევა. მიგვაჩნია, რომ ყველა არსებული პრობლემა პრეზიდენტის ინსტიტუტში შეუზღუდავი ძალაუფლების თავმოყრას უკავშირდება. პრაქტიკულად ეს ძალაუფლება დღეს ერთი უწყების ხელშია და ეს სტრუქტურა შინაგან საქმეთა სამინისტროა. ამის შეცვლის გარეშე კი წარმოუდგენლად მიგვაჩნია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიული პროცესების გაშლა. სწორედ ამ ფაქტორებით არის განპირობებული ჩვენი მოთხოვნა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით პრეზიდენტის შეცვლას. კიდევ ერთხელ დავძენ, რომ ეს არ უფლებელყოფს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ცივილურ თანამშრომლობას თემატურ საკითხებზე - მედიის თავისუფლებაზე, საარჩევნო გარემოზე და ა.შ.

- თქვენ ახსენეთ პრეზიდენტის მართვის სტილი. თქვენ სხვადასხვა თანამდებობებზე ყოფნის დროს ხელს არ გიშლიდათ ეს სტილი?

**მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მთავარი არ არის სააკაშვილის გადადგომა - აუცილებელია, ხალხმა იცოდეს, თუ რა იქნება მერე და როგორ გააგრძელებს ქვეყანა ცხოვრებას სააკაშვილის შემდეგ.**

მედიის წარმომადგენლებს, ასევე არასამთავრობო სექტორს.

- ხელისუფლებისადმი თქვენი ერთ-ერთი მთავარი ბრალდებაა მედიის არათავისუფალ რეჟიმში ჩაყენება. როგორ ფიქრობთ, ხელს ხომ არ შეგიშლით მედიის ასეთი მდგომარეობა დასახული მიზნის მიღწევაში?

- ეს შეზღუდვა, რა თქმა უნდა, ქმნის პრობლემებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ საქმე მაინც უნდა ვაკეთოთ. ბუნებრივია, ზენოლა იმ მედია-საშუალებებზე იქნება, რომლებიც არაობიექტურად დაბლოკავენ ამა თუ იმ ინფორმაციის გაშვებას. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით ყველა ჩვენს ხელთ არსებული საშუალებები უნდა იყოს გამოყენებული. ბუნებრივია, ძალიან დიდ სირთულეს ქმნის ის, რომ ობიექტური სატელევიზიო მედიის საშუალებები არ ვრცელდება საქართველოს რეგიონებში. ამ კუთხითაც საჭიროა მოქმედების გაშლა და გააქტიურება. არსებობს პროექტები, რომ ეს არხები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდეს. შემძლია, ვითხრათ, რომ შეზღუდული მედიის არსებობა ვერ შეზღუდავს ჩვენს საქმიანობას. ჩვენ შევძლებთ დასახული მიზნების განხორციელებას და მოვახერხებთ,

და ცივილური ფორმაა. ბუნებრივია, ამ გზაზე უარის თქმა წარმოუდგენელია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ხელისუფლებაში, როგორც მალაქ ემოლონებში, ასევე დაბალ, საშემსრულებლო დონეზეც, ძალიან ბევრი, წესიერი და პატირიოტი ხალხი მუშაობს, რომელთაც გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ ეს ცვლილება მათ არ შეეხებათ. ეს იქნება ცვლილება ხელისუფლისა, რომელმაც პრაქტიკულად ქვეყანა ჩიხში შეიყვანა, არა მარტო იმის გამო, რომ პროვოკაციაზე წამოვიდა და ომი წავაგო, არამედ მართვის სტილი შექმნა, რომ პრაქტიკულად ერთპიროვნული გადაწყვეტილებები მიიღებდა. ის არ იზიარებს არც ერთი სხვა სახელისუფლო ორგანოს მოსაზრებას, არ არსებობს გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუ-

**მიგვაჩნია, რომ ყველა არსებული პრობლემა პრეზიდენტის ინსტიტუტში შეუზღუდავი ძალაუფლების თავმოყრას უკავშირდება. პრაქტიკულად ეს ძალაუფლება დღეს ერთი უწყების ხელშია და ეს სტრუქტურა შინაგან საქმეთა სამინისტროა.**

- ბევრჯერ მაქვს ნათქვამი და ვიმეორებ - პიროვნულად საქართველოს პრეზიდენტთან არავითარი შეუთავსებლობა არ მაქვს. თუმცა, ჩემი ხელისუფლებაში მოღვაწეობის და მასთან ურთიერთობის პერიოდში მართვის ეს სტილი ძირითადი ხელისშემშლელი იყო, რომ მოლაპარაკების პროცესში რეალურად მიგვეღწია გარკვეული შედეგებისთვის. თავიდანვე, როდესაც მე მუშაობა დავიწყე, მქონდა იმედი, რომ ამოცანები, რომლებსაც მიზნად ვისახავდი და რომლებსაც ეთანხმებოდა საქართველოს ხელისუფლება და პრეზიდენტი, შესრულდებოდა და შევძლებდით, აფხაზეთთან პირდაპირი დიალოგის გზით სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში იმ მოდელის შექმნისთვის მიგვეღწია, რაც მხარეებს შორის ნდობას გააჩენდა. მაშინ, როდესაც დავინახე, რომ ამ პროცესებზე ჩემი გავლენა ამოიწურა, ჩემ მიერ პრეზიდენტისთვის შეთავაზებული პოზიციები აღარ იყო გაზიარებული და აზრი აღარ ჰქონდა ჩემს მოღვაწეობას, მივიღე გადაწყვეტილება და წავედი. საბოლოო გადაწყვეტილება მაისში მივიღე, თუმცა, ბუნებრივია, ომის პირობებში, როგორც ყველა სახელმწიფო მოხელე, ვალდებული ვიყავი, ჩემი კონკრეტული ამოცანა შემესრულებინა. მინდა თქვენს კითხვას დავუბრუნდე - ბუნებრივია, მისი მართვის სტილი ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, მაგრამ იმედი მქონდა, რომ სამუშაო პროცესში მე ამის განეიტრალებას შევძლებდი.

- თქვენ არაერთხელ აღვინიშნავთ, რომ იმ დროს, როცა აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის წარმომადგენელი იყავით, სოხუმთან პირდაპირი კონტაქტების დამყარება ხერხდებოდა. ასევე ცნობილია თქვენი და ბაგაფის გეგმის შესახებ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ უარყო. ამავე პერიოდში ცნობილი გახდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერის სამშვიდობო გეგმის შესახებ, რომელიც უკვე რუსეთმა დაბლოკა. როგორ ფიქრობთ, თქვენი გეგმა საქართველოს ხელისუფლებისთვის მისაღები რომ ყოფილიყო, მოსკოვი ასე ადვილად დათანხმდებოდა ამ გეგმის რეალიზებას?

- დარწმუნებული ვარ, რომ თუკი ჩვენი მხრიდან ამ გეგმაზე თანხმობა იქნებოდა, საგრძნობლად შემცირდებოდა რუსული აგრესიის საფრთხე საქართველოში. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ საფრთხის მთლიანად აცილება შეიძლებოდა, რადგან უკვე საჭირო იქნებოდა დიპლომატიური მუშაობის გააქტიურება და გაშლა სხვადასხვა ფრონტზე. თუმცა, ეს ზოგადად სამშვიდობო პროცესის წარმართვისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ეფექტები იქნებოდა. ეს გეგმა პრაქტიკულად 2005 წლის ბოლოსაც მზად იყო. მაშინ პირველად მოხდა, რომ მე და პრეზიდენტი ვერ შევთანხმდით, ხოლო როდესაც ჩვენ თავშეკავება გამოვიჩინეთ, ამ დოკუმენტზე მუშაობის პროცესი აფხაზეთში მხარეებში დაბლოკა. დოკუმენტის საბოლოო შეკერება უკვე 2008 წლის მაისში მოხდა. ამ დოკუმენტის ყველა პუნქტი კი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ითვალისწინებდა, ასევე აკმაყოფილებდა აფხაზეთის უსაფრთხოების გარანტიებსაც. აქ საუბარი იყო შეიარაღებული კონფლიქტის განუახლებლობაზე, საომარი რიტორიკის შეჩერებაზე, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის დაწყებაზე და დევნილთა დაბრუნების უფლების აღიარებაზე. აფხაზეთში მხარე ამ ყველაფერს თანხმდებოდა და, რაც მთავარია, ეს დოკუმენტი ეფუძნებოდა გაეროს რეზოლუციებს, რომლებშიც პრაქტიკულად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იყო ასახული. აქედან გამომდინარე, ამ დოკუმენტზე ხელმოწერა საგრძნობლად შეცვლიდა დაპირისპირების იმ გარემოს, რომელიც შემდგომ უკვე ესკალაციის საფუძვლად იქცა.



# "ერთადერთი გზა ჩვენი დემოკრატიული განვითარებაა"

- თქვენი განცხადებით, უკვე არსებობდა იმის ნიშნები, რომ რუსეთი აგრესიას ამზადებდა. რატომ არ განაცხადეთ ამის შესახებ ომამდე, თუნდაც ამას თქვენი გადადგომოდა მოჰყოლოდა?

- მე პრეზიდენტთან ამ თემაზე არაერთხელ მქონდა საუბარი. რუსეთის აგრესიის თემა მსჯელობის საგანი იყო. საქართველო როგორც დიპლომატიური, ასევე თავდაცვისუნარიანობის კუთხითაც მომზადებული უნდა ყოფილიყო, რათა თავიდან აგვეცილებინა ეს საფრთხე. აქედან გამომდინარე, მე, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში - როგორც ელჩი გაერო-ში, მქონდა პრეზიდენტისთვის რჩევის მიცემის საშუალება და ამას ვაკეთებდი კიდევ. რაც შეეხება გადადგომას, გაერო-ში იმდენად დინამიურად მიმდინარეობდა ჩვენი საქმიანობა, ვგულისხმობ რეზოლუციების პროექტების მომზადებას და გენერალურ ასამბლეაზე დევიანობა შესახებ რეზოლუციის მიღებას, რომ ეს საქმე გადადგომის შემთხვევაში უფრო მეტად დაზიანდებოდა, ვიდრე ჩემი იქ ყოფნით. მაგრა, რომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღე - მემუშავა ჩემი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტთან და მასთან ურთიერთობით შეგვექმნა ის გარანტიები, რომლებიც თავიდან აგვააცილებდა ომის განახლების საფრთხეს. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა და ეს ჩემი ხელისუფლებიდან წასვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. მეორე მხრივ, ჩვენ უკვე ომის შემდეგ ვცდილობდით, რომ გაერო-ში გვემოქმედა, რათა იქ ქართული და ეროვნული ინტერესები ყოფილიყო დაცული. ამიტომაც მე თქვენს შეკითხვას ასე ვუპასუხებ - ვადავებ ამ გადაწყვეტილების მიღება და გადადგომა მიზანშეწონილი არ იქნებოდა საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

**- რუსეთთან ურთიერთობა პრეზიდენტისადმი კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. რუსეთი არ ჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან საქართველოს ხელისუფლების პირისპირ. ურთიერთობა პრაქტიკულად ჩიხშია შესული. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში როგორ ფიქრობთ ამ წრის გარღვევას, როდესაც რუსეთმა უკვე აღიარა ორი ქართული ტერიტორია. როგორ მოახერხებს ირაკლი ალსანი და მისი გუნდი ამ პრობლემის მოგვარებას?**

- მართალს ბრძანებთ. ეს არის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ერთ-ერთი ძირითადი და რთული ვითარება, რაზეც მე სწორედ საქართველოს პრეზიდენტს და მის ხელისუფლებას ვაკისრებ პასუხისმგებლობას. ეს არის უშიშმის ახალი რეალობა, რაც გააჩინა ამ დაუფიქრებელმა ჩართვამ ასევე გაუმართლებელ პროვოკაციაში. ამ ხელისუფლებას და უპირველად ამ ხელისუფალს შეეძინა ურთულესი მდგომარეობიდან გამოსვლა არათუ გაუჭირდება, პრაქტიკულად არც შეუძლია. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობების შემდგომ განვითარებას, ეს იქნება ძალიან რთული და მრავალმხრივი პროცესი. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ძალიან მალე მოგვარდება. ამ პროცესს ექნება ეტაპები. პირველ რიგში, აუცილებელი გახდება გარკვეული მოლაპარაკების პროცესის დაწყება. მე პირველი ეტაპი შუამავლის დახმარებით წარმომიდგენია. შესაძლოა, ეს როლი ევროპულმა ქვეყნებმა იტვირთონ ან მთლიანად ევროკავშირმა. უნდა დაიწყოს კონსულტაციები და გამოინახოს შეხების წერტილები. აქ შეიძლება ვიფიქროთ სხვადასხვა მოდელზე - მაგალითად, ენერგეტიკული საკითხები, ეკონომიკური ურთიერთობა, ზაზრის გახსნა ქართული პროდუქციისთვის, სავიზო და სხვა შეზღუდვების მოხსნა. ამავდროულად, ჩვენ, ევროპულ მოკავშირეებთან ერთად, უნდა შევინარჩუნოთ არაღიარების პოლიტიკა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონ-

თან მიმართებაში, რაც ამავდროულად თავისთავად გახდება რუსეთზე ზეწოლის საფუძველი. უნდა იქნეს გამოყენებული ის ხელშეკრულებები, რომლებსაც თავად რუსეთმა მოაწერა ხელი და დღემდე არ ასრულებს, მხედველობაში მაქვს დეოკუპაცია. ამ პირობებში, როდესაც ჩვენ შორის გაჩნდება რაღაც დიალოგი, პარალელურად უნდა გაჩნდეს პირდაპირი და ცალ-ცალკე დიალოგის წარმოების საშუალება აფხაზეთთან და ოსებთან. თქვენ იცით, რომ აფხაზეთი მხარე დღევანდელი ვითარებით არ არის კმაყოფილი. მათ აგვისტოს შემდეგ პრაქტიკულად დაკარგეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რაც მანამდე ასე თუ ისე ჰქონდათ. ამიტომ მე აფხაზეთთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენის ძალიან დიდ რესურსს ვხედავ. აქაც, რასაკვირველია, უნდა გაჩნდეს ძალიან ეფექტური პრევენციული მექანიზმები უერთაშორისო დონეზე, რაც ვითარების ესკალაციას ხელს შეუშლის. ამ სქემაში მნიშვნელოვანია შენევის პროცესი. მართალია, ეს პროცესი ძალიან ნელა მიდის, მაგრამ ეს მექანიზმების შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს და ამას ხელისუფ-

**ბუნებრივია, აფხაზეთის და ოსებისთვის უფრო მომხიბვლელი იქნება საქართველოსთან ერთად ევროპაში ყოფნა, ვიდრე რუსეთის სამხედრო ზეწოლის ქვეშ დარჩენა.**

ლებამ მხარი უნდა დაუჭიროს. როდესაც ნდობის რაღაც ნიშნები გაჩნდება, აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთის ნეგატიური გავლენის რისკები შემცირდება, უკვე რეალურად ამოქმედდება მექანიზმები, რომლებიც რუსეთს აიძულებს, დეოკუპაციის კუთხით გადადგას ნაბიჯები. ამას წლები დასჭირდება და არ შეიძლება, საზოგადოებას ავუშალოთ მოლოდინი, რომ ეს ყველაფერი სწრაფად მოხდება. მაგრამ ეს შესაძლებელია, რადგან საერთაშორისო სამართალი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს განუყოფელ ნაწილებად აღიარებს. მთავარია, ეს შევინარჩუნოთ. მოლაპარაკების პროცესში კი გაჩნდება ახალი შესაძლებლობები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, რომ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში შევთანხმდეთ აფხაზეთთან და ოსებთან თანაცხოვრების ფორმაზე. პარალელურად უნდა გაგრძელდეს ევროტალანტიკურ სივრცეში ჩვენი ინტეგრაციის პროცესი. რასაკვირველია, არსებობს რუსეთის ფაქტორი, მაგრამ ეს ამ გზაზე წინაღობად არ უნდა იქცეს. ბუნებრივია ნატო-სთან ინტეგრაციის საკითხი აგვისტოს ომის შემდეგ გრძელვადიანი პერსპექტივა გახდა, მაგრამ აუცილებელია, ერთიანი ევროპული უსაფრთხოების საკითხებში ჩვენს თანამშრომლობას დინამიზმი შევძინოთ. ამის ერთადერთი გზა და საშუალება კი თავად ჩვენი დემოკრატიული განვითარებაა. აუცილებელია, რომ რეალურად შევქმნათ დემოკრატიული ინსტიტუტები, რეალურად დავინიშნოთ ისეთი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება, რაც თავსებადი იქნება ჩვენს ევროპულ პარტნიორებთან, მოვახდინოთ ჩვენი სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია. ეს ნაბიჯები თუ გადავდგით, ბუნებრივია, აფხაზეთის და ოსებისთვის უფრო მომხიბვლელი იქნება საქართველოსთან ერთად ევროპაში ყოფნა, ვიდრე რუსეთის სამხედრო ზეწოლის ქვეშ დარჩენა.

**- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელი იყო თუ არა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება იმ ფონზე, როდესაც მოსკოვისთვის თავიდანვე მიუღებელი იყო ჩვენი ნატო-სკენ სწრაფვა?**

- ბუნებრივია, ჩვენი ნატო-სკენ სწრაფვა რუსეთის ინტერესებს არ შეე-

**მკერა, რომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღე - მემუშავა ჩემი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტთან და მასთან ურთიერთობით აგვაცილებდა ომის განახლების საფრთხეს. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა და ეს ჩემი ხელისუფლებიდან წასვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა.**

საბამებოდა. მაგრამ, ეფექტური დიპლომატიის გამოყენებით სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ამოცანა ხელისუფალისა, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს ნაკისრი ქვეყნის წინაშე, რომ ეს საფრთხეები შეემცირებინა და მინიმუმამდე დაეყვანა. ჩემი აზრით, იმავე ნატო-სკენ ინტეგრაციის გზაზე ნაბიჯების გადადგმა დიდი რიტორიკის გარეშე უნდა მოგვეხდინა. ყოველდღე და ყოველ წუთს არ უნდა ყოფილიყო ეს თემა ჩვენი საგარეო პოლიტიკური პიარის განმსაზღვრელი, რაც, ბუნებრივია, რუსეთის გალიზიანებას იწვევდა. ამ ნაბიჯების გადადგმა ისეთი ფორ-

მობდა საპროტესტო აქციების გაშლა, ხელისუფლებას ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, რომ არ შეუნდოს ხელი მოვლენების ესკალაციას, რასაც შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვეს. პროტესტის მშვიდობიანი ფორმით გამოხატვა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა. ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას 7 ნოემბრის მსგავსი მოვლენის განვითარება, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევს დაპირისპირებას ხელისუფლებას და საზოგადოებას შორის. ეს პასუხისმგებლობა, რასაკვირველია, ჩვენც გააზრებული გვაქვს. ამიტომ, ეს აქციები მშვიდობიანი უნდა იყოს და დარწმუნებული ვარ, ხალხი თავის ნებას ისეთი დონით გამოხატავს, რომ ხელისუფლება იძულებული გახდება, მოსახლეობას ანგარიში გაუწიოს.

**- და თუკი ხელისუფლება არ წავიდა კომპრომისზე? როგორ გეხსენებათ მოვლენების შემდგომი განვითარება?**

- მიმაჩნია, რომ არ უნდა უარყოფთ იმ დიალოგის რესურსი, რაც შესაძლოა, ამ პროცესში გაჩნდეს. მე მაქვს დიპლომატიური გამოცდილება და მიმაჩნია, რომ დიალოგზე უარის თქმა არ შეიძლება. ამასთანავე, ვხედავ, რომ თუნდაც აპრილის მოვლენების დროს შესაძლოა ასეთი რესურსი გაჩენა. მეც და ჩემი პოლიტიკური გუნდიც ვიმოქმედებთ იმის მიხედვით, რა საჭიროებაც გაჩნდება კონკრეტულად იმ ვითარებაში.

**- ანუ ეს ნიშნავს, რომ ირაკლი ალსანი და "ალანსი საქართვე-**

შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი -ს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ ნუგზარ ცაავას ძმის

**თენგიზ ცაავას**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: ხუთშაბათი, პარასკევი, 16.00 სთ.  
დაკრძალვა: შაბათი, 14.00 სთ.  
მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, IVბ მიკრორაიონი, 35-ე კორპუსი, მე-2 საღარბაზო.

შპს სოკარ ჯორჯია გაზი -ს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ ნუგზარ ცაავას ძმის

**თენგიზ ცაავას**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: ხუთშაბათი, პარასკევი, 16.00 სთ.  
დაკრძალვა: შაბათი, 14.00 სთ.  
მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, IVბ მიკრორაიონი, 35-ე კორპუსი, მე-2 საღარბაზო.

შპს სოკარ ენერჯი ჯორჯია -ს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ ნუგზარ ცაავას ძმის

**თენგიზ ცაავას**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: ხუთშაბათი, პარასკევი, 16.00 სთ.  
დაკრძალვა: შაბათი, 14.00 სთ.  
მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, IVბ მიკრორაიონი, 35-ე კორპუსი, მე-2 საღარბაზო.

**ლოსთვის" უერთდება აპრილის აქციას?**

- ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ხალხის მიერ პროტესტის სხვადასხვა ფორმით გამოხატვაში, მათ შორის საპროტესტო აქციებშიც. რაც შეეხება კონკრეტულად 9 აპრილს, მე განვაცხადე, რომ ოპოზიციურ პარტიებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუ რა გეგმით და რა ფორმით უნდა განხორციელდეს აპრილის აქციები. საზოგადოებას ჩვენს გადაწყვეტილებას ამ მოლაპარაკების დასრულების შემდეგ გავაცნობთ.

**- თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია, რომ მიხეილ სააკაშვილი საპროტესტო აქციების შედეგად გადადგება. ასეთი ეჭვი ეღუარდ შევარდნაძემაც გამოთქვა.**

- უნდა ამოქმედდეს პოლიტიკური, მშვიდობიანი ბრძოლის ფორმები. წინასწარ რაღაცის თქმა, ჩემი აზრით, ახლომხედველურია. არავის ეგონა, რომ თავად შევარდნაძეც საპროტესტო აქციების შედეგად წავიდოდა, მაგრამ ეს ცვლილება მოხდა. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენებს. მე კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ხელისუფლებაში უამრავი პატრიოტი, ღირსეული ადამიანია, ვინც კარგად გრძნობს ამ ცვლილების განხორციელების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, დიდი იმედი მაქვს, რომ საზოგადოების ამ მოთხოვნას და საპროტესტო აქციებს სახელისუფლებო სტრუქტურების დიდი ნაწილი ადევკვატურად აღიქვამს. არ მინდა იმის ფიქრი, რომ ხელისუფლება ნოემბრის მოვლენების მსგავსი სცენარის გამოჩვენას დაუშვებს, რადგან ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის იდეის გარშემო დიდი სოლიდარობა არსებობს. ხოლო თუკი დემონსტრაციის წინააღმდეგ უკანონო ბრძანებები გაიცემა, იმედ მაქვს, ხელისუფლების ნაწილი და სამართალდამცავ სტრუქტურებში მომუშავე ხალხი ამ ბრძანების შესრულებაზე უარს იტყვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საპროტესტო აქციები მშვიდობიანად მივა ლოგიკურ დასასრულამდე.



### საპარლამენტო უმრავლესობა უმცირესობის საკანონმდებლო ინიციატივას ითვალისწინებს

საპარლამენტო უმრავლესობა უმცირესობის კიდევ ერთ საკანონმდებლო ინიციატივას ითვალისწინებს. საუბარია ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" წევრის დიმიტრი ლორთქიფანიძის ინიციატივაზე, რომელიც "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში ცვლილებებს ეხება და რომელსაც იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა მხარი დაუჭირა.

დიმიტრი ლორთქიფანიძის მიერ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, კანონიდან ამოღებული იქნება მუხლი, რომლითაც იუსტიციის მინისტრს შეუძლია, თანხმობა გაცეს სისხლის სამართლის პროცესში დამცველად უცხოელი ადვოკატების მონაწილეობაზე.

დეპუტატის თქმით, აღნიშნული ნორმა არათანაბარ პირობებში აყენებს ქართველ ადვოკატებს უცხოელებთან მიმართებაში, რადგან "ნაკლებად სავარაუდოა, უცხოელი ადვოკატი საქართველოს სახელმწიფო ენას ფლობდეს ან გავლილი ჰქონდეს საადვოკატო ტესტირება".

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პავლე კუბლაშვილის თქმით, ეს შენიშვნა ადვოკატებსაც ჰქონდათ, თუმცა მისი გათვალისწინება ადრე ვერ მოხერხდა. კუბლაშვილი ოპოზიციონერი კოლეგის მოსაზრებას სრულად იზიარებს და მის მიღებას მხარს უჭერს. **პირველი**

### მსჯელობა სასჯელადსრულების დანესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე

პარლამენტარებმა სასჯელადსრულების დეპარტამენტის დანესებულებებში არსებული მდგომარეობა შეაფასეს. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განეული საქმიანობის ანგარიში კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის წევრებმა ეკა ხერხეულიძემ და დიმიტრი ლორთქიფანიძემ წარადგინეს. როგორც გაირკვა, 2009 წლის იანვრიდან, მათ სასჯელადსრულების დეპარტამენტის ათი დანესებულება მოინახულეს და იქ არსებული მდგომარეობა შეაფასეს.

დეპუტატების განცხადებით, ამ დანესებულებებში საგრძნობლად გაუმჯობესებულია კვების, ყოფის, სამედიცინო მომსახურების დონე, მსჯავრდებულებს პრაქტიკულად არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება ადმინისტრაციის მიმართ, მაგრამ მათ უკმაყოფილებას, ძირითადად, სასამართლოს განაჩენები იწვევს.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და საოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ვია არსენიშვილმა კომისიის წევრებს შესთავაზა, რომ ახლო მომავალში კომიტეტის მოწვევით გაიმართოს გაფართოებული სხდომა, სადაც საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, სასჯელადსრულების დანესებულებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იქნებიან მინვეული. პარლამენტართა მიერ მომზადებული ანგარიში კი საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს. **მედიაინუსი**

### მეუღლის მკვლელობაში ეჭვიმტანილი დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მკვლელობაში ეჭვიმტანილი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ხობის რაიონის სოფელ ხეთაში მცხოვრები, 1941 წელს დაბადებული გიმიურ გაბისონია დააკავეს. დაკავებული ეჭვიმტანილია ურთიერთშეპარაკავეს ნიადაგზე, არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფი მეუღლის, 1961 წელს დაბადებული ლუბა პეტრიუჩენკოს მკვლელობაში. გამოძიება სსკ-ის 109-ე მუხლით მიმდინარეობს. მას შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო ანარმოებს. **პირველი**

### მგლების დატყვევებისა ან მოკვლაზე ნებართვა გაცემულია

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ სოფელ გლდანში გამოჩენილი მგლების დატყვევების ან მოკვლის ნებართვა გაცა. როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აცხადებენ, სამინისტრომ დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე სოფელ გლდანის ტერიტორიიდან სამი მგლის განადგურების გადაწყვეტილება მიიღო. მგლების დატყვევება ან მოკვლა გლდანის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა.

სოფელ გლდანში მგლების თავდასხმის ადგილი გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ დავით იოსელიანმა ბიომრავალფეროვნების სამსახურის უფროსმა სოსო ქარცივაძემ და თბილისის ზოოლოგიური პარკის დირექტორმა ზაურ გურიელიძემ დაათვალიერეს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მოსახლეობას აფრთხილებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გარეული ცხოველი საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და ზიანს აყენებს მათ ქონებას, თავდასხმის მომენტში ნადირის განადგურება კანონმდებლობით არ ისჯება და არც ჯარიმით ან რაიმე სხვა სანქციით. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეკომენდაციით აღნიშნული ფაქტის შემთხვევაში მოსახლეობამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გარემოს დაცვის ინსპექციას ან ადგილობრივ თვითმმართველობას. **მედიაინუსი**

# უზენაესმა სასამართლომ დავა ფიზიკური პირების სასარგებლოდ გადაწყვიტა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ ცნო ხელვაჩაურის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილება ფიზიკური პირებისთვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის თაობაზე.

უზენაესმა სასამართლომ საკუთრების უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხელვაჩაურის საკრებულოს აღნიშნულ

პირებთან მიმართებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება დაავალა.

საგულისხმოა, რომ სადავო მინის ნაკვეთები ჯერ კიდევ 2004 წლის 23 მარტს აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, ჩაირიცხა მინის სარეფორმო ფონდში და საკრებულოს გადაწყვეტილებით, იმავე წლის აპრილში გადაეცა აღნიშნულ ფიზიკურ პირებს. მოგვიანებით, 2006 წლის 8 აგვისტოს,

იმავე საკრებულომ უსაფუძვლოდ გააუქმა მის მიერვე მიღებული აქტი და ფიზიკურ პირებს ჩამოერთვა მინის ნაკვეთები.

სარჩელი სასამართლოში აღძრული იქნა სულ 9 ფიზიკური პირის მიერ. სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში მიიჩნია, რომ ხელვაჩაურის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია უსაფუძვლო იყო და ჩათვალა, რომ არ არსებობდა მინის ნაკვეთების ჩამორთმევის

კანონიერი საფუძველი, რაც გახდა უზენაესი სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ გუშინ მიღებული გადაწყვეტილება არ არის გამოწვეული და ერთეული შემთხვევა. 2008 წელს უზენაესმა სასამართლომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების 53 პროცენტი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

## "ომბუდსმენმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელა"

სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ომბუდსმენის განცხადებაში რამდენიმე სერიოზული უზუსტობაა დაშვებული.

საუბარია თბილისის მე-5 ქალთა და არასრულწლოვანთა დანესებულებაში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდებულ გოგონებზე, რომელთა მონახულების შემდეგ, ომბუდსმენის რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები უფრო მკაცრ გარემოში იმყოფებიან და უფრო მეტად არიან შეზღუდული, ვიდრე ეს კანონითაა გათვალისწინებული.

**"ვინაიდან, ქვეყანაში არ არსებობს არასრულწლოვანი გოგონებისთვის კანონით განკუთვნილი დანესებულება, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა ისეთივე პირობებში უნევთ, როგორშიც ზრდასრული პატიმ-**

**რები იმყოფებიან. აღნიშნული გარემოება შეუსაბამოაში მოდის, როგორც პატიმრობის შესახებ კანონთან, ასევე პატიმრების მოპყრობის მინიმალურ სტანდარტებთან და გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან,"** - ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

ომბუდსმენის აპარატის წევრების თქმით, საპყრობილეს არ გააჩნია სასაქონლო ეზო, მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით. საკნებში მწყობრიდან გამოსულია წყლის ონკანები. არ ხდება სრულყოფილი ვენტილაცია და არის უსიამოვნო სუნის. ციხის გადატვირთულობის გამო არასრულწლოვნები ხშირად უფროსებთან ერთად არიან საკანში. საპყრობილეში არ არის პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალება. არასრულწლოვნები ვერ იღებენ განათლებას.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მი-

ნისტრ დიმიტრი შაშკინს და მოითხოვა, რომ ის არასრულწლოვანი გოგონები, რომელთა მიმართაც შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლის (სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება) გათვალისწინება, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, უპირობოდ, ვადამდე ადრე გათავისუფლდნენ.

თუმცა, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ სახალხო დამცველმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელა იმის შესახებ, თითქოს ქალთა საპყრობილეში ადგილები გადატვირთულია და არასრულწლოვანი პატიმარი გოგონები ზრდასრულ პატიმრებთან ერთად, ერთ საკანში არიან.

სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის სალომე მახარაძის განმარტებით, საპყრობილე არათუ გადატვირთულია,

პირიქით, იქ 12 ადგილი თავისუფალია.

**"ჯერ ერთი, ქალთა მეხუთე საპყრობილეში სულ ორი არასრულწლოვანი გოგონაა. უზუსტობაა ასევე ისიც, თითქოს პატიმრების სეირნობის საშუალება არ აქვთ. ციხის ადმინისტრაცია ყოველდღიურად უზრუნველყოფს პატიმრების სეირნობას. პატიმარი ქალები სასეირნოდ დადგენილ დროს გაჰყავთ. ომბუდსმენის მიერ ონკანების შესახებ გაკეთებული განცხადებაც აბსურდულია, რადგან მსგავსი პრობლემა საპყრობილეში საერთოდ არ ყოფილა. რაც შეეხება არასრულწლოვანი პატიმრების გათავისუფლებას, გათავისუფლების მოთხოვნის წერილი შეწყალების კომისიაში უნდა გაიგზავნოს და შესაბამისი გადაწყვეტილებაც სწორედ მათ უნდა მიიღონ,"** - აცხადებს სასჯელადსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სალომე მახარაძე. **საკუთარი ინფორმაცია**

## ევროსასამართლომ განაცხადა რეზისტრაციაში გაატარა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა და შესაბამისი ნომერი მიანიჭა ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიერ შეტანილ, აგვისტოს ომის დროს დაზარალებულთა პირველად განაცხადებს.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლმა", ფონდ "ლია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით, ევროსასამართლოში საქმეები 2009 წლის თებერვალში გაგზავნა. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, აგვისტოს ომის დროს დაზარა-

ლებულებს ევროსასამართლოში სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც წარმოადგენენ, თუმცა ყველაზე მეტი - 402 დაზარალებულის ინტერესს ევროსასამართლოში ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" დაიცავს. "42-ე მუხლის" მიერ გაგზავნილ საქმეთა შორის არის რუსეთის აგრესიის დროს დაღუპულ და დაზარალებულ ჟურნალისტთა საქმეებიც.

ორგანიზაციის ადვოკატების განცხადებით, გაგზავნილი საქმეების უმრავლესობაში დაზარალებული მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ ისინი რუსეთის მხრიდან განსაკუთრებული სი-

სასტიკის მსხვერპლი გახდნენ და მათ მიმართ რუსეთის ფედერაციამ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემდეგი მუხლები: სიცოცხლის უფლება (ევროკონვენციის მე-2 მუხლი), ნამება და არაადამიანური მოპყრობა (მე-3 მუხლი), მონობა და იძულებითი შრომა (მე-4 მუხლი), თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება/თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მე-5 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მე-8 მუხლი), სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი),

დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-14 მუხლი), საკუთრების უფლება (1 დამატებითი ოქმის 1 მუხლი), მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის, მე-2 მუხლი).

დაზარალებულები ითხოვენ, ევროსასამართლომ რუსეთის მხრიდან დარღვეულად ცნოს ევროკონვენციის ზემოთხსენებული მუხლები და რუსეთის ფედერაციას დააკისროს მათ მიერ დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობისთვის მიყენებული მატერიალური ზარალისა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ქურდობაში ეჭვიმტანილები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები 34 წლის მურად მსხვილა-

ძე, 37 წლის ვალერი მსხვილაძე, 46 წლის რამაზ მსხვილაძე და 50 წლის რიონ გუბელაძე დააკავეს. აღნიშნულ პირებს ბაღდათის დაკავებულებს სოფელ ხანში მალაღმთიან ტერიტორიაზე გარეგანი ზეცხაფონი-ბაღდათი-

ადიგენი-ახალციხის ხაზის, შპს "ენერგოტრანსის" კუთვნილი 500-კილოვატიანი მაღალი ძაბვის ანკერული ანძებიდან სხვადასხვა პროფილისა და სიგრძის უყანგავი ლითონის მოპარვა ედებოთ ბრალად. სამართალ-

დამცველების ინფორმაციით, დაკავებულებმა ჩადენილი დანაშაული აღიარეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.



# თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა - ახალი სიტყვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამები ყოველწლიურად ფართოვდება. ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში რიგით მესამე სკოლა ამოქმედდება, რომელიც სტუდენტებს შესთავაზებს საერთაშორისო დონის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სამართალში. სამართლის სკოლაში სტუდენტები ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის სამართალმცოდნეობის სრულიად ახალ დარგს - ეკონომიკურ სამართალს დაეუფლებიან. წელს სამართლის სკოლის ბაკალავრიატში მხოლოდ 30 აბიტურიენტი მოხვდება. თავისუფალი უნივერსიტეტი მკაფიოდ შედეგზე და ხარისხზე ორიენტირებული სასწავლებელია, სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს სამართლის სკოლაში მისაღები კონტიგენტის სიმცირეს. თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა ისეთივე ადგილს დაიმკვიდრებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც ბიზნესის სკოლას (ESM) და აზიის და აფრიკის ინსტიტუტს აქვს დამკვიდრებული. სამართლის სკოლის პრიორიტეტებსა და შესაძლებლობებზე გვესაუბრებიან სამართლის სკოლის ლექტორები.

**ქეთი ქოქრაშვილი,**  
სამართლის დოქტორი,  
პროფესორი, სამართლის  
სკოლის პროგრამის  
კოორდინატორი:

ბუნებრივია, როდესაც საგანმანათლებლო ბაზარზე ახალი სასწავლებელი იხსნება, აუცილებელია ყურადღების გამახვილება მის პრიორიტეტებზე. სამართლის სკოლაში არის პროფესორების ძლიერი გუნდი, რომელთაც აქვთ პედაგოგიური მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილება. მასტერკლასებს ჩაატარებენ და პრაქტიკულ მეცადინეობას სამართლის კლინიკაში გაუძღვებიან პრაქტიკოსი იურისტები. როგორც იცით, თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობა სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სასწავლო სტანდარტებს. სპეციალურად სამართლის სკოლისთვის შექმნილია სასამართლო დარბაზის ტიპის აუდიტორია, რომელიც გამოყენებული იქნება სწავლების პროცესში ყოველდღიურად და არა მხოლოდ საგანგებო ღონისძიებების დროს. სასამართლო დარბაზის აუდიტორიაში ჩატარ-

დება ლექციები, რათა სტუდენტებმა ასეთ გარემოში საკუთარი თავის ადაპტირება მოახდინონ. სამართლის სკოლის კურსდამთავრებული მზად იქნება ყოველგვარი გადაწყვეტილებისა და სტაჟირების გარეშე დასაქმდეს. ლექციები და სემინარები მიმდინარეობს ნათელ, კომფორტულ აუდიტორიაში. თითოეულ აუდიტორიაში არის პროექტორი. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე არის უკაბელო ინტერნეტი. ყველა სტუდენტი აღჭურვილია ნოუტბუქით, რაც აუცილებელი ატრიბუტია სასწავლო პროცესში, რადგან ზოგიერთ დისციპლინაში სწავლება მთლიანად ელექტრონულ ფორმატში მიმდინარეობს. მალე თავისუფალ უნივერსიტეტში იქნება მდიდარი ელექტრონული ბიბლიოთეკა. უნივერსიტეტის შენობაში არის თანამედროვე საკონფერენციო დარბაზი, რომელიც 180 ადამიანზეა გათვლილი. ტელეპრეზენტის სალექციო სისტემა და ვიდეოკონფერენციები თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევს მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების სალექციო კურსები მოისმინონ. სტუდენტსა და უცხოელ ლექტორს შორის უპრობლემოდ მყარდება კითხვა-პასუხის რეჟიმი, შესაძლებელია დისკუსიაში ერთდროულად რამდენიმე ადამიანის მონაწილეობა, ჯგუფური დავალებების შესრულება. მოქმედებს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ორ სართულზეა განლაგებული. ქვედა სართულზე არის წიგნთსაცავი, სადაც დაცულია წიგნების შენახვისათვის ყველა საჭირო პირობა. ზედა სართულზე კი არის სამკითხველო დარბაზი, რომელიც ერთდროულად 60-65 ადამიანს იტევს. შენობაში სულ მალე ამოქმედდება სავარჯიშო დარბაზი, რისთვისაც ფართი უკვე გამოყოფილია. დარბაზი აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით. იმუშავებს საშხაპებში. სავარჯიშო დარბაზი ერთდროულად 22 ადამიანზეა გათვლილი. კეთილმოწყობილი კაფეტერია, რომელიც ერთდროულად 180 ადამიანს იტევს, თავისუფალი უნივერსიტეტის სამივე სკოლის სტუდენტებისა და პროფესორების თავშესაფრის საყვარელი ადგილია. უნივერსიტეტს ემსახურება ავტობუსი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პროფესორების ტრანსპორტირებას. სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება სწავლების უახლესი მეთოდები.

დიდ ყურადღებას დავუთმობთ სტუდენტთა გუნდურ მუშაობას, რომელიც მიეძღვნება კაზუსებისა და ქეისების ამოხსნას, მათზე მსჯელობას და კამათს. სამართლის სკოლა განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს ორატორულ ხელოვნებაზე. მართლმეტყველება დღეს დიდ იშვიათობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ეს საკითხი პრიორიტეტული იქნება, იურისტი არ უნდა საუბრობდეს მხოლოდ იურისტისთვის გასაგებ ენაზე. ასევე დიდი ყურადღება დავუთმობთ ლოგიკური მსჯელობის განვითარებასა და იურიდიულ დოკუმენტებთან მუშაობას. ერთი სიტყვით, აქ როგორც პროფესორს, ასევე სტუდენტს, ყველანაირი საშუალება აქვს იმისთვის, რომ მისი ალქმადობა კონკრეტული ლექციისა გაუმჯობესებული, საუკეთესო იყოს. თავისუფალი უნივერსიტეტი ეძებს საუკეთესო აბიტურიენტებს და სთავაზობს მათ ხელშეწყობის სხვადასხვა პროგრამას, უხსნის მათ ფინანსურ ბარიერებს. წელს საუკეთესო აბიტურიენტებისთვის უნივერსიტეტში იქნება 9 სასწავლო გრანტი და 5 შეღავათიანი სტუდენტური სესხი. სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა კიდევ უფრო მასშტაბური იქნება თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, რადგან ეს სამართლის სკოლისთვის პირველი მიღებაა და ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მიიზიდოს საუკეთესო აბიტურიენტები. აბიტურიენტი, რომელიც, თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში აბარებს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლეს ქულებს მიიღებს, შემდეგ კი ოთხი წლის მანძილზე შეინარჩუნებს საუკეთესოს სტატუსს, სწავლის საფასურისგან მთლიანად თავისუფლდება. რეიტინგში შედეგებით მომდევნო აბიტურიენტი მიიღებს გრანტს, რომელიც ფარავს სწავლის ორი წლის საფასურს, ხოლო შედეგების მიხედვით მომდევნო ორი აბიტურიენტი დაჯილდოვდება გრანტით, რომელიც ფარავს სწავლის პირველი წლის საფასურს. 21 მარტს 13:00 სთ-ზე თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა აბიტურიენტთათვის ჩაატარებს იურიდიულ ოლიმპიადას. ოლიმპიადაში მონაწილეობა შეუძლია ყველა აბიტურიენტს. ოლიმპიადაში პირველ ადგილზე გასული აბიტურიენტი, თავისუფალ უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში, მიიღებს სწავლის სრულ, ოთხწლიან, დაფინანსე-

ბას. შედეგებით მეორე ადგილზე გასული აბიტურიენტი მიიღებს გრანტს, რომელიც ფარავს ორი წლის სწავლის საფასურს, ხოლო მესამე ადგილზე გასული აბიტურიენტი, მიიღებს გრანტს, რომელიც ფარავს სწავლის ერთი წლის საფასურს. გარდა ამისა, თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა ყველა აბიტურიენტს, რომელიც სამართალმცოდნეობით არის დაინტერესებული აძლევს შესაძლებლობას შეიტყოს მეტი მომავალ პროფესიაზე, დარწმუნდეს თავისი არჩევანის სისწორეში, მოემზადოს ოლიმპიადისთვის და მოიპოვოს სასწავლო გრანტი. ხუთდღიანი სასწავლო პროგრამა - სამართალმცოდნეობა აბიტურიენტთათვის - დაიწყო 4 მარტს და 9 მარტს დასრულდა. პროგრამას ჰყავდა 32 მონაწილე. პროგრამის მონაწილეებისთვის ლექციებს კითხულობენ სამართლის სკოლის პროფესორები. აბიტურიენტთა დიდი ინტერესის გამო, პროგრამა კიდევ ერთხელ ჩატარდება, ამჯერად 15-19 მარტს. რეგისტრაციის პროცედურებისათვის ენციეთ ჩვენს ვებ-გვერდს - [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge) ეს ყველაფერი დასაწყისია, პირველი ნაბიჯებია. სამართლის სკოლას აქვს სერიოზული ამბიციები წინსვლისა.

**ვალერი ხრუსტალი,**  
სამართლის დოქტორი,  
პროფესორი:

პირადად მე ლექციებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ვკითხულობ და მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება მაქვს. ვარ სახელმძღვანელოს ავტორი, გამოქვეყნებული მაქვს უამრავი ნაშრომი. გარდა ამისა, 25 წელი გავატარე სასამართლო სისტემაში. 18 წელი მოსამართლე ვიყავი, აქედან ბოლო 4 წელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვახლდით. ბოლოს პედაგოგიურ მოღვაწეობას ვენეციად.

როდესაც თავისუფალი უნივერსიტეტიდან შემოთავაზება მივიღე, არც დაფიქრებულვარ ისე განვახდინე თანხმობა. თავისუფალი უნივერსიტეტი სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. იგი დაარსდა 2007 წელს და მასში შევიდა ორი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი - ბიზნესის სკოლა (ESM) და აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. დარწმუნებული ვარ სამართლის სკოლა ზუსტად ისეთივე ადგილს დაიმკვიდრებს, როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის სხვა სკოლებს აქვს დამკვიდრებული. იგი ჩვენს ქვეყანას აღუზრდის კვალიფიციურ იურისტებს, რო-

მელთა დეფიციტსაც დღეს ასე განვიცდით. სამართლის სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი, რომ სტუდენტმა სრულფასოვანი განათლება მიიღოს. მივესალმები ასეთი სასწავლებლის ამოქმედებას, მას დიდი მომავალი მაქვს. ჩემთვის დიდი პატივია თავისუფალ უნივერსიტეტში ნავიკითხო ლექციები და საქართველოს პროფესიონალი სამართალმცოდნეები გავუზარდო.

**რეზო გოგშელიძე,**  
სამართლის დოქტორი,  
პროფესორი:

სამართლის სკოლის სასწავლო პროცესი ისე იქნება დაგეგმილი, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. უნივერსიტეტში სპეციალურად სამართლის სკოლისთვის შექმნილია სასამართლო დარბაზის ტიპის აუდიტორიები, სადაც შესაძლებელი იქნება სასამართლო პროცესების იმიტირება. საქართველოში ბევრ უნივერსიტეტთან მაქვს შეხება და ასეთი რამ სხვაგან არ მინახავს. სამართლის სკოლის იურიდიული კლინიკა სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, ჩამოყალიბდნენ ადვოკატებად, გამოძიებლებად, მოსამართლეებად. ჩვენ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ კლინიკაში საქართველოს მოქალაქეებს გავუწიოთ უფასო კონსულტაცია როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. თუკი ჩვენი სამართლებრივი დახმარება მათთვის მისაღები იქნება, დამატებით შევთავაზებთ, რომ მათი ინტერესები სასამართლოშიც დავიცვათ. მთელ ამ პროცესებში აქტიურად იქნებიან ჩართული სტუდენტები. მაგალითად, როცა კლინიკაში მოქალაქე შემოვა, მას უშუალოდ სტუდენტი გაუწევს კონსულტაციას. ეს, რათქმა უნდა, პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ მოხდება. სამართლის სკოლაში სტუდენტები ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის სამართალმცოდნეობის სრულიად ახალ დარგს - ეკონომიკურ სამართალს დაეუფლებიან. ჩემთვის დიდი პატივია იმ უნივერსიტეტში მუშაობა, რომელიც პროფესიონალ კადრებს მოამზადებს და ამასთანავე, მოქალაქეებს დაეხმარება საკუთარი უფლებების დაცვაში.



# ნარკოტიკები შესაძლოა ლეგალური გახდეს

## ნარკოტიკებთან ბრძოლის გზებს გაერო ორდღიან სამიტზე განიხილავს

მარიკა იაშვილი

შესაძლებელია თუ არა ნარკოტიკების ლეგალიზაცია და როგორი უნდა იყოს მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს პრობლემასთან ბრძოლის გზები მომავალი 10 წლის განმავლობაში?

ვენაში გაერო-ს ორდღიანი სამიტი გაიხსნა, რომელზეც, სავარაუდოდ, ნარკოტიკებთან ბრძოლის იმ მეთოდების განხილვა მოხდება, რომლებსაც მსოფლიოში გასული 10 წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ წარუმატებლად იყენებდნენ. ორგანიზაციის წევრი ქვეყნები სამიტის ფარგლებში ამ საკითხზე თავიანთ მომავალ სტრატეგიასაც დასახავენ.

ვენაში მიმდინარე სამიტი და მისი მთავარი თემა სხვადასხვა მსხვილი უცხოური გამოცემების ყურადღების ქვეშ მოექცა. **"ნარკოტიკებთან ბრძოლის გაეროსეული პოლიტიკა ჩავარდა,"** - ამტკიცებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და აქცენტს აკეთებენ ნარკოტიკების ლეგალიზაციისკენ მოწოდებებზე, რომლებიც სამიტის მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გახშირდა.

**"ზოგიერთ მდიდარ ქვეყანაში ნარკოტიკებთან ბრძოლის სფეროში ვითარება შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა მთელ რიგ ქვეყნებში ის საგრძნობლად გაუარესდა,"** - ნათქვამია ევროკომისიის დასკვნაში, რომელიც ორშაბათს გამოქვეყნდა. **"გაერო-ს პოლიტიკამ მხოლოდ პრობლემის სხვა რეგიონებში გადასაცვლება გამოიწვია, ხოლო ქვეყნების დიდ ნაწილში ადგილობრივ ნარკობაზართან ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლა, უბრალოდ, ჩავარდა,"** - წერენ გაზეთები.

ოფიციალური მონაცემებით მსოფლიოში ამჟამად 26 მილიონი ნარკომანია, რაც პლანეტის ზრდასრული მოსახლეობის 0.6 პროცენტს

შეადგენს. **"არსებობს რეალური საფრთხე, რომ ნარკოტიკებით არა-ლეგალურ ვაჭრობასთან ბრძოლა ნაგებობით დამთავრდება,"** - წერს გამოცემა "ლა რეპუბლიკა," რომელიც არ გამოირიცხავს, რომ ეს ომი უკვე ნაგებულა.

გამოცემა კომენტარს აკეთებს "ბრუკინგ ინსტიტუტის" დასკვნაზეც, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას ნარკოტიკების ლეგალიზაციისკენ მოუწოდებს. **"რა მოხდება, თუკი ნარკოტიკებით ვაჭრობის ლიბერალიზაცია ბოლოს მოუღებს ამ სფეროში დღეს არსებულ უკანონო გარიგებებსა და უზარმაზარი თანხების ბრუნვას. უკეთესი ხომ არ იქნება, თუკი ფულს ნარკომანიის კონტროლში, პროფილაქტიკასა და მსხვილ დანაშაულთან ბრძოლაში დავაბანდებთ?"** - სვამენ კითხვას მოხსენების ავტორები, რომელსაც ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტი ჯეფრი მაირონის კვლევა და მისი 500 კოლეგის ხელმოწერა ერთვის თან.

**"ლა რეპუბლიკა"** აღნიშნულ მოხსენებას არსებული რეალობის წინაშე კაპიტულაციას და მსოფლიოსთვის პოლიტიკის შეცვლის წინადადებას უწოდებს, ამ წინადადებას კი პროვოკაციადაც მიიჩნევენ და შეგვახსენებს, რომ წელს ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვიდან 100 წელი სრულდება.

**"თუმცა ეს პროვოკაცია იმის შედეგია, რომ ამ უმსხვილეს არა-ლეგალურ ბიზნესთან ბოლო 10 წლის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლა წარუმატებელი აღმოჩნდა,"** - მიიჩნევენ "ლა რეპუბლიკა." ნარკოტიკების ბრუნვა იზრდება, ისინი ცუდი ხარისხისაა, ჯანმრთელობისთვის საშიშია, ამ საქმეში მბრუნავი თანხა ძალზე შთამბეჭდავია. თუკი ნარკოტიკებს რომელიმე სახელმწიფოს თავისუფალი შიდა პროდუქტის სახით ნარმოვიდგენთ, მაშინ ეს ქვეყანა მხოლოდ ამ მარცხს განიცდის. თუკი მსოფლიო კლასიფიკაციაში 21-ე ადგილზე იქნებო-



და, 320 მილიარდი დოლარის ოდენობის წლიური ბრუნვით.

ნარკოტიკებთან ბრძოლის მომავალი 10 წლის სტრატეგიის განსახილველად ვენაში 50 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბებიან. ჩნდება კითხვა, დგას თუ არა მსოფლიო ისტორიული მოვლენის წინაშე? "სრულიად არა," მიიჩნევენ გაერო-ს ნარკოტიკებსა და დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს გენერალური დირექტორი, - არც ერთი ქვეყანა არ უჭერს მხარს ეკონომისტების მოწოდებას. ალტერნატივის სახით მოწოდებული იდეა ნარკოტიკების ლიბერალიზაციის შესახებ, დამარცხებისკენ მიმავალი გზაა," - აცხადებს ის. **"მსოფლიო უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას და თამაშის ფსონები ძალზე მაღალია,"** - წერს პუბლიკაციის დასკვნით ნაწილში "ლა რეპუბლიკა".

გამოცემა "ინდიფენდენტი" მიიჩნევენ, რომ გარდა ლეგალიზაციისა, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს კიდევ ერთი საკითხი - განხილვაში ახალი პუნქტის ჩართვა, რომელიც "ზი-

ნის შემცირებას" შეეხება. კონკრეტულად კი, ეს პროექტი ნარკოტიკების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, უკვე გამოყენებული შპრიცი ახალზე გადაცვალონ. ახალი შემამსუბუქებელი ცვლილებების მხარდამჭერებად სამიტზე, ძირითადად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები გამოვლენ, რომლებსაც ლათინური ამერიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდიაც შეუერთდნენ. მათი ოპონენტები კი რუსეთი და აშშ იქნებიან. თუმცა გამოცემის მიმომხილველი ხელისუფლებაში ბარაკ ობამას მოსვლის შემდეგ ამერიკელების პოზიციის შეზღუდვასაც არ გამოირიცხავს. ახალმა ადმინისტრაციამ ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა - აშშ-ში შპრიცების გადაცვლის პროგრამის დაფინანსების აკრძალვა გაუქმდა.

თუმცა დამოუკიდებელი ექსპერტები სკეპტიკურად არიან განწყობილნი. **"ისინი დაუფიქრებლად მისცემენ ხმას მომავალი ათწლეულის ჩავარდნისთვის განკუთვნილ პროგრამას,"** - განუცხადა "ინდიფენ-

დენტი" ჟენევის ჰარვარდმა, ნარკომანთა დახმარების ბრიტანული საქველმოქმედო ფონდის "რელიზის" მრჩეველმა, - **საჭიროა, რეალურად გადაიხედოს არა მხოლოდ პოლიტიკის რეალიზაციის პროცედურა, არამედ მისი მიზნებიც."**

თავის მხრივ, გაერო-ს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნავანეთუმ პილიმ ვენის სამიტის წინ სახელმწიფოებს მოუწოდა, ნარკომანიასთან ბრძოლის დროს გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო ვალდებულებები. პილიმ აღნიშნა, რომ ნარკომანები დისკრიმინაციის და კრიმინალიზაციის საფრთხის წინაშე დგანან და ამის შედეგად უფლებათა დარღვევის მსხვერპლი არაერთხელ გამხდარან.

მან ყურადღება გაამახვილა ნარკომანებისადმი სამართალდამცველი ორგანოების სასტიკ მოპყრობაზე და სახელმწიფოებს მოუწოდა, არ განახორციელონ ნარკოტიკების მომხმარებელთა დეპორტაცია იმ ქვეყნებში, სადაც ისინი შესაძლოა, სამართლებრივი დევნის ფარგლებში წამების მსხვერპლი გახდნენ.

**"დღეს ნარკომანები საზოგადოების მიერ უარყოფილი არიან. მათ სასირცხვილო დამლა აქვთ დადებული და ხშირად ვერ იღებენ აუცილებელ მკურნალობას,"** - მკაფიოდ განაცხადა გაერო-ს ადამიანის უფლებათა მთავარმა დამცველმა. მან აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება უნდა განვიხილოთ როგორც ავადმყოფობა, რომელსაც სამედიცინო მკურნალობა ესაჭიროება.

**"ამავდროულად, ნარკომანების იძულება მკურნალობაზე ან მათივე თანხმობის გარეშე მათზე ექსპერიმენტების ჩატარება ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დარღვევაა,"** - აცხადებს გაერო-ს უმაღლესი კომისარი.

# ლაპროვის რთული ვიზიტი

## აზერბაიჯანში

ივანე ხილაძე

გუშინ დაიწყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ორდღიანი ვიზიტი აზერბაიჯანში. ვიზიტამდე იგი შეხვდა მედიის წარმომადგენლებს და ისაუბრა ვიზიტის დროს განსახილველ საკითხებსა და საკუთარ, უფრო სწორად რუსეთის ხედვაზე რეგიონში არსებულ სიტუაციაზე. მის პოზიციას რიგ საკითხებში არ იზიარებენ აზერბაიჯანელები და ეს უკვე გამოჩნდა ამ ქვეყნის მედიის კომენტარებში.

ლავროვმა განაცხადა, რომ განხილული იქნება რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ 2008 წლის 3 ივლისს ხელმოწერილი დეკლარაციის შესრულების შედეგები, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების მიმდინარეობა, კასპის ზღვასთან დაკავშირებული საკითხების მთელი პაკეტი, ორმხრივი ურთიერთობების საკითხების ფართო სპექტრი, რეგიონული და საერთაშორისო პრობლემები. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავისი აზერბაიჯანელი კოლეგის გარდა შეხვდება სხვა ოფიცია-

ლურ პირებსაც, მათ შორის დაგეგმილია შეხვედრა პრეზიდენტ ილხამ ალიევთან, თუმცა ეს უკანასკნელი ასევე ორდღიანი ვიზიტით ირანში იმყოფება. ალიევის ვიზიტი ცოტა ადრე დაიწყო და ალბათ ჩრდილოელ სტუმარსაც ჩამოუსწრებს. ვიზიტის ფარგლებში ლავროვი მონაწილეობას მიიღებს რუსული საინფორმაციო-კულტურული ცენტრის საზეიმო გახსნაშიც.

ლავროვის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულების მთავარი მიზეზია მისი გამოხატულებები მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით. ამ თემაზე მსჯელობისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ კონფლიქტის მონაწილეებს გარედან თავს არ უნდა მოვახვიოთ რაიმე რეცეპტი. მთავარი პასუხისმგებლობა კონფლიქტის მხარეებზეა და ნებისმიერ კომპრომისულ გადაწყვეტილებას, რასაც აზერბაიჯანელები და სომხები მიაღწევენ, რუსეთი მხარს დაუჭერს და მისი შესრულების გარანტიას როლსაც იკისრებს. ყარაბაღის საკითხის გარდა ლავროვი შეეცადა აზერბაიჯანელები დაემშვიდობინა კონფლიქტის უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების საბჭოს მიერ ოპერატიული რეაგირების ძალების შექ-



AFP / 2009

მნასთან დაკავშირებით. ეს დიდი ხანია იწვევს აზერბაიჯანის შემფოთებას. საერთაშორისო ენერგეტიკულ პროექტებზე საუბრისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ეს აზერბაიჯანის სუვერენული უფლებაა და რუსეთი ამას პატივისცემით უყურებს. ეს "ნაბუკოს" პროექტსაც ეხება. მან აღიარა, რომ საჭიროა ევროპის გა-

მომარაგების უსაფრთხოებისათვის გზების დივერსიფიკაცია, მაგრამ ყურადღება მაინც "ჩრდილოეთ ნაკადსა" და "სამხრეთ ნაკადზე" გაამახვილა.

აზერბაიჯანელების აზრით, ლავროვის პოზიცია - "არავითარი რეცეპტები გარედან" - იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მოიხსნის პასუხისმგებ-

ლობას კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. არ მიუთითებს მხარეებს რაიმე საერთაშორისო სამართლის ნორმებზე, რა ფარგლებშიც შეიძლება გაიმართოს მოლაპარაკებები, არ განსაზღვრავს ვინ არის აგრესორი და ვინ დაზარალებული. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთს შეუძლია ჩრდილში დარჩეს და სამხრეთ კავკასიაში თავისი მოკავშირე სომხეთის მეშვეობით არეგულიროს პროცესები.

მეორე საკითხი, რასაც აზერბაიჯანელები ეჭვის თვალით უყურებენ, ეს ოპერატიული რეაგირების ძალების ფუნქციონირება. ლავროვის სიტყვებით ეს ძალები შექმნილია თავდაცვისთვის, ტერორისტული და ექსტრემისტული საფრთხეების მოსაგერიებლად და ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებისგან განსხვავებით მხოლოდ წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მოქმედებს. აზერბაიჯანული პრესა შიშობს, რომ ნებისმიერი პროვოკაცია თუ სამხედრო შეტაკება მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძლება რუსეთმა სომხეთის წინააღმდეგ აგრესიად შეაფასოს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შარსაკ ავციტოში ებრძოდა "საქართველოს" "აგრესიას" საქართველოს ტერიტორიაზე.



# რევოლუ



პარიზის ცნობილ Orsay-ს მუზეუმში ოკიუსტ როდენის შემოქმედებისად მიძღვნილი მასშტაბური გამოფენა გაიხსნა სახელწოდებით "დაგვიწყდათ როდენი? ქანდაკება პარიზში 1905-1914". გამოფენა უდიდესი სკულპტორის გარდა მისი მოსწავლეების ემილ-ანტუან ბურდელის, კამილა კლოდელისა და მის თანამედროვე რამდენიმე ევროპელი მოქანდაკის, მათ შორის, ხულიო გონსალესის ნაშეუვრებსაც მოიცავს. გამოფენა მისის მიწურულამდე გაგრძელდება.

AFP · 2009

## ევროპა 0:1 რუსეთი

მოსკოვის "ევროვიზიის" სცენა ქართველი მომღერლების გარეშე დარჩა

ნა ვაჰაძე

როგორც იქნა, "ევროვიზიასთან" დაკავშირებულ ყველა კითხვას პასუხი გაეცა - საქართველო ევროპის სიმღერის კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს და ეს ნაბიჯი პროტესტადაც კი ჩაეთვლება. სწორედ ამას ითხოვდა "პირველი არხისგან" და კონკურსზე გასაგზავნი მომღერლებისგან საზოგადოების ნაწილი, რომელიც საქართველოს კონკურსში მონაწილეობას მხოლოდ იმ სიმღერის ტექსტით ამართლებდა, რომელმაც რუსების გაღიზიანება და აღშფოთება გამოიწვია.

**We Don't Wanna Put In** - სწორედ ამ სიტყვებმა გამოიწვია ვნებათაღელვა, რომელიც თითქმის ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელიც საბოლოოდ რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. რა მიიღო საქართველომ? პრაქტიკულად არაფერი, იმაზე ნაკლებიც კი, რასაც კონკურსში მონაწილეობაზე თავიდანვე უარის თქმით მიიღებდა. ევროპის მაუწყებელთა საბჭო ვერ აღ-

მოჩნდა იმდენად პრინციპული, რომ რუსული მხარის მოთხოვნა, გნებავთ, ზენოლა გაენიჭრალდებინა და არ დარჩენილიყო კონკურსის მასპინძელი ქვეყნის გავლენის ქვეშ. გავლენის შესახებ საუბრობს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრიც.

**ნიკოლოზ რურუა:** "სამწუხაროა, რომ კონკურსის ორგანიზატორები დათანხმდნენ რუსეთის მოთხოვნას. როგორც ჩანს, ეს ქვეყანა ბოლომდე იყენებს იმ ეკონომიკურ ბერკეტებს, რომლითაც დანარჩენი მსოფლიოს კონტროლს ცდილობს და ახლა უკვე "ევროვიზიაშიც" ჩაერია. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ევროპა აღიარებს, რომ ჩვენთან მიმართებაში სამარცხვინოდ მოიქცა".

ევროპის მაუწყებელთა საბჭომ ქართულ მხარეს სიმღერის, ან მხოლოდ ტექსტის შინაარსის შეცვლა ორიოდე დღის წინ მოსთხოვა, მიზეზად კი კონკურსის ერთ-ერთი წესი მოიშველია, რომლის თანახმადაც, სიმღერის ტექსტი "ევროვიზიისთვის" შეუფერებელია. "პირველი არხის" გენერალურმა დირექტორმა,



ლევან ყუბანიევილიმა კი "ევროვიზიის" ორგანიზატორებს წერილი მისწერა, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ სტეფანესა და სამი გოგოს მიერ შესრულებული სიმღერა არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. ამრიგად, არ ქართულ მხარეს არ მიაჩნია საჭიროდ სიმღერის ან მხოლოდ მისი ტექსტის შეცვლა. შესაბამისად საქართველო უარს აცხადებს "ევროვიზიაზე" მონაწილეობისგან.

ამ გადაწყვეტილებამდე იყო საუბრები იმაზეც, რომ ქართველი მომღერლების მოსკოვში ჩასვლას შესაძლოა გართულებები მოჰყოლოდა. არ არსებობდა მათი უსაფრთხოების გარანტიაც, რასაც მოსკოვში მოღვაწე ქართველი მომღერლებიც ადასტურებდნენ. ამას წინასწარმეტყველებდა "ევროვიზიის" შარშანდელი მონაწილე დიანა ლურწყაიაც. იგი მომღერლების უსაფრთხოებაზე მეტად იმაზე წუხდა, რომ მათ რუსულ სცენაზე ფიასკო ელოდათ. ახლა კი ამაზე ფიქრი საჭირო აღარაა - მოსკოვის "ევროვიზია" ერთი მონაწილე ქვეყნის გარეშე დარჩა.



დათო მარაგვილის ხუთშაბათი



### ადამიანური ყოფა

ილია ბაბუნაშვილის წერილს ზუსტად ასე ერქვა ჟურნალ "ათიანში" და მან მგონი ზუსტად ათიანში გარტყა, რადგან ზუსტად ის ახსნა, რის მიხედვრასაც კარგა ხანს ამაოდ ვცდილობდი. კარგა ხანს მიკვირდა რატომ არ არსებობს თბილისში (და საერთოდ საქართველოში) თუნდაც ერთი მაღაზია, რესტორანი ან თუნდაც ერთი პატარა დუქანი, რომელსაც ისტორია აქვს და ახლაც ფუნქციონირებს.

ილია ბაბუნაშვილს იტალიის მაგალითი ჰქონდა მოყვანილი, მაგრამ პირადად მადრიდში თუ ესპანეთის სხვა ქალაქებში ძალიან ბევრჯერ მინახავს ძალიან ძველი მაღაზიები თუ კაფეები, რომლებიც ახლაც მოქმედებენ და მათ ახლაც იგივე მეპატრონეები ჰყავთ. უფრო სწორად ძველი მეპატრონეების ახლანდელი ჩამომავლები, რომლებსაც ოჯახური მემკვიდრეობით რჩებათ მშობლების და წინაპრების საკუთრება. ესპანეთმა მეოცე საუკუნეში საშინელებები გადაიტანა და იტალიამაც რამდენიმე ათეული მთავრობა გამოიკვალა იმავე საუკუნეში, მაგრამ არცერთ ახალ მთავრობას ძველ მესაკუთრეების წინააღმდეგ ბრძოლა არ დაუწყია. მათთვის კერძო საკუთრება მაინც სრულიად ხელშეუხებელ ფასეულობად რჩებოდა, რადგან ევროპელი პოლიტიკოსები მშვენიერად ხვდებოდნენ რომ ოჯახი და ადამიანი, სახელმწიფოს მთავარი და აუცილებელი საყრდენია. ასეთი სახელმწიფოების შექმნამ, განაპირობა კიდევ იმ ევროპული სივრცის ჩამოყალიბება, სადაც ადამიანური ყოფა უკვე აღარ ენატრებათ ადამიანებს ჩვენგან განსხვავებით. ჩვენი პოლიტიკოსებიც სწორედ ამ თვალსაზრისით, ყველაზე მეტად განსხვავდებიან ევროპული პოლიტიკოსებისაგან და სამწუხაროა რომ საბჭოური ცნობიერებისაგან ჯერ ვერ გავთავისუფლდით. არადა მეფის რუსეთი ამ მხრივ, გაცილებით პროგრესული იყო, ვიდრე საბჭოთა რუსეთი და იმპერატორ ალექსანდრეს საქართველოში სტუმრობაც, ზემოთქმულის მშვენიერი დადასტურებაა.

ალექსანდრე მესამემ საქართველოში ჩამოსვლამდე, წინასწარვე გამოთქვა სურვილი წინანდლის ბალის ნახვისა, რადგან მისი ქება მანამდეც ბევრჯერ ჰქონდა მოსმენილი და კახეთშიც დიდი მზადება დაიწყო. ბალს რა მომზადება უნდოდა, მაგრამ წინანდალში, მასპინძლების ვარაუდით, ჭავჭავაძეების ან უკვე ყოფილ მამულში, ერთი პრობლემა აუცილებლად დახვდებოდა რუსეთის იმპერატორს. ზუსტად ბალის წინ მამინ ერთი კახელი გლეხის ივანე ზურაბაშვილის ქოხი იდგა, რომელიც მეტიწარა ქართველების აზრით მშვენიერ ხედს ამკარად გაუფუჭებდა ალექსანდრეს მესამეს, როცა იმპერატორი ჭავჭავაძეების სახლის აივანზე გადმოდგებოდა. ამიტომაც ალექსანდრეს ჩამოსვლამდე იმ კახელ გლეხს ადგილობრივმა (გუბერნიის) ხელისუფლებამ წინადადებით მიმართა რომ ის ზურაბაშვილი საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყო და იმ დაშლილი ქოხის სახლსავე კომპენსაციასაც კარგ ფულად მიიღებდა. კახელმა კაცმა ქვა ააგო და თავი შეუმკირა (ალბათ ესეც კახური წარმოშობის გამოთქმაა) - პაპაჩემის აშენებულ სახლს როგორ მივატოვებო და მამის წარმომადგენლები (ერთად და ცალ-ცალკე) ერთი თვე უხსნიდნენ იმ ივანე ზურაბაშვილს რომ სინამდვილეში ეგ ქოხი იყო და არა სახლი, მაგრამ სრულიად ამაოდ.

მოკლედ (ბევრი რომ არ გავაგრძელო), ის კახელი კაცი ვერაფრით დაითანხმეს სხვაგან გადასახლებაზე - მაინც პაპაჩემის ქოხში ცხოვრება მირჩევნიაო და ბოლოს იმპერატორიც უხსენეს და სიმართლაც უთხრეს თუ რატომ უნდა გადასახლებულიყო და ამან კი თურმე სულ გააგო ივანე ზურაბაშვილი - აი თქვენი იმპერატორიო.

ბოლოს იმპერატორსაც შეაპარეს კახელი გლეხის ჯიუტობის ამბავი, როცა წინანდალში, ჭავჭავაძეების სახლის აივნიდან ალაზნისკენ გაიხედა ნაბახუსევზე და ზურაბაშვილის ქოხი დაინახა. მერე ძალიან ყურადღებით მოისმინა ყველაფერი და თურმე ძალიან ბევრიც იცინა და ბოლოს კი იმპერატორმა ძალიან სერიოზულად თქვა - კანონი ყველასთვის ერთიანი და ივანე ზურაბაშვილიც აღარაის მეთუხუცებია. ის ქოხი კი მხოლოდ 1921 წლის შემდეგ დაანგრეს, როცა საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და ჩვენც სამწუხაროდ, სწორედ იმ საბჭოთა საქართველოს მემკვიდრეები ვართ.

P.S. ბავშვობაში მეგონა რომ პლატონას დუქანი მაშინაც არსებობდა, მაგრამ მერე ისიც ისეთივე სადღეგრძელო აღმოჩნდა, როგორც კერძო საკუთრების უფლება, ქართული დემოკრატია და ნანატრი თავისუფლება...

## პიკასო: სიღნაღი-თბილისი-ბათუმი

პაბლო პიკასოს ნამუშევრების გამოფენა 30 მაისიდან 6 სექტემბრამდე გაიმართება

ნა ვეკუა

სიღნაღი: 30 მაისიდან ივლისის ბოლომდე, თბილისი: ივლისის პირველი რიცხვებიდან 8 აგვისტოს ჩათვლით, ბათუმი: აგვისტოს დასაწყისიდან ხავერდოვანი სეზონის დასრულებამდე - ასეთია პიკასოს საქართველოში მოგზაურობის სამთვიანი განრიგი. გამოფენები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სამ ქალაქში გაიმართება, არა მხოლოდ მთელ მსოფლიოში მიმდინარე პიკასოს წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მისამართით გამოუხმაურება, არამედ შარშან შემოდგომაზე საფრანგეთში გამართული ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენის საპასუხო პროექტია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველი დამთავალიერებელი ნაკლებადაა განებივრებული მსგავსი მასშტაბის გამოფენებით, ამ შემთხვევაში კი პიკასოს მნიშვნელობის მქონე მხატვრების ნამუშევრების ხილვით, ეს გამოფენა აუცილებლად იქცევა უკანასკნელი წლების მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად. აქედან გამომდინარე, მისთვის მზადება სახელმწიფო დონეზეა აყვანილი, ორგანიზატორთა ჩამონათვალი კი ვრცელია: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საფრანგეთის საელჩო საქართველოში, აჭარის კულტურისა და განათლების სამინისტრო, თბილისის მერია და კიდევ რამდენიმე კერძო კომპანია. ცხადია თანაორგანიზატორები არიან ის მუზეუმები, რომლებსაც ამ გამოფენის მასპინძლობა მოუწევთ.

რაც შეეხება პიკასოს ნამუშევრების მომლოდინე სივრცეებს: უკვე ცნობილია, რომ თბილისში გამოფენას საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმი უმასპინძლებს. მართალია, აქ ჯერ კიდევ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, გამოფენის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ივლისის ბოლოსთვის საგამოფენო დარბაზები მზად იქნება. რაც შეეხება სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ეს მთლიანად რეაბილიტირებული და განახლებული ქალაქის ნამდვილი სიამაყეა, რომლის ტექნიკური აღჭურვილობაც ევროპულ სტანდარტებს პასუხობს. პიკასოსთვის შესაფერის მდგომარეობაშია ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიც. მათი მდგომარეობა ადგილზე შეისწავლეს საფრანგეთიდან



ჩამოსულმა სპეციალისტებმა, მათმა დასკვნამ კი საქართველოში მომავალ პიკასოს ფართოდ გაუხსნა კარი.

სიღნაღში, თბილისსა და ბათუმში საფრანგეთის იონის მხარის ქალაქ ვეზელეს ზერვოსის მუზეუმის საკოლექციო ნამუშევრები გამოიფინება. მათი რაოდენობა სულ ორმოცია და ყველა პიკასოს შემოქმედების 50-იან წლებს მოიცავს - როდესაც მხატვარი აქტიურად ქმნიდა ლინოგრაფიურებს. ეს არის XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენებული მხატვრობის მიმართული, რომელიც ლინოლიუმის გამოგონებას ფეხდაფეხ მოჰყვა. ამ შემთხვევაში ლინოლიუმი საბაზისო მასალას წარმოადგენს, მასზე გამოსახულების მისაღებად კი ბასრი იარაღი გამოიყენება. ლინოგრაფიურის დასაბეჭდად ტიპოგრაფიული საღებავია საჭირო, ხოლო ბეჭდვის პროცესი საკმაოდ ფაქიზ მუშაობას მოითხოვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიკასოს ნამუშევრები საქართველოში ზერვოსის მუზეუმში ნიკო ფიროსმანის გამოფენის საპასუხოდ იმართება. ამჟამად თბილისში იმყოფება იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს პრეზიდენტის კაბინეტის დირექტორი ერიკ ჟანტი, რომე-

ლიც ფიროსმანის გამოფენის შესახებ საუბრობს: "ჩვენი მხარის მუზეუმი ქართველი მხატვრის ნამუშევრებს გასული წლის ოქტომბერში მასპინძლობდა. თამამად შემოიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იმ ქალაქისთვისაც კი, რომლის მუზეუმშიც პიკასოსა და სხვა დიდი მხატვრების ნამუშევრების კოლექციებია დაცული. გამოფენის მსვლელობისას ფრანგმა საზოგადოებამ ქართული კულტურის უკეთესად გააცნობის სურვილი გამოთქვა, რასაც ჩვენს მომავალ ერთობლივ პროექტებში განვახორციელებთ. 2009 წელი პაბლო პიკასოს წლად აღიარებული. მისი ნამუშევრების გამოფენა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმართება, გამონაკლისი არც საქართველოა. იონის დეპარტამენტი კი მოხარულია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მომზადებაში მონაწილეობს. ვიმედოვნებ, ქართველი დამთავალიერებელი ისეთივე სიამოვნებას მიიღებს, როგორც ჩვენ გვერგო ფიროსმანის შემოქმედების გაცნობისას".

აქვე აღსანიშნავია, რომ ეს კოლექცია პირველად გადის საფრანგეთის საზღვრებს გარეთ. კოლექციის ღირებულება

მილიონებს ითვლის, რაც მისი სადაზღვევო ფასის სიდიდესაც გულისხმობს. მიუხედავად ამისა, საქართველოში მათი ჩამოტანა მინიმალური თანხა - 150-200 ათასი ევრო ჯდება. მოლაპარაკების თანახმად საქართველოს მხარე არ იხდის დროებითი გასხვისების თანხას, ხოლო პროექტის ღირებულებას მთლიანად იონის დეპარტამენტი ფარავს.

**ერიკ ფურნიე, საქართველოში საფრანგეთის ელჩი:** "საქართველოსა და საფრანგეთს შორის ყოველთვის მეგობრული დამოკიდებულება იყო, რასაც პოლიტიკური თანამშრომლობის გარდა კულტურული ურთიერთობაც ამყარებდა. ფიროსმანის გამოფენა საფრანგეთში, ახლა კი პიკასოს სტუმრობა საქართველოს სამ ქალაქში ამ ურთიერთობების გაღრმავების ერთ-ერთი საფეხურია. ვფიქრობ, ეს ინიციატივა წარმატებით დაგვირგვინდება."

**ნიკოლოზ რურუა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი:** "პიკასოს ნამუშევრების საქართველოში გამოფენა ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს იქნება არა მხოლოდ ახალი ევროპული სუნთქვის შემოტანა ჩვენს ცხოვრებაში, არამედ დიდი საჩუქარია ქვეყნისთვის, რომელმაც რამდენიმე თვის წინ საშინელი პერიოდი გამოიარა. ქართული ხელოვნება ყოველთვის ასრულებდა ექსპორტის ფუნქციას, ახლა კი დადგა დრო, სხვა ქვეყნების კულტურის იმპორტიორად ვიქცეთ და ჩვენს საზოგადოებას მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნების გაცნობის საშუალება მივცეთ. ამ მიმართულებით მუშაობა იმდენად ინტენსიურად უნდა წარიმართოს, რომ მსგავსი ღონის გამოფენები ჩვენთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს."

პიკასოს ლინოგრაფიურების გამოფენა მხოლოდ კულტურული დიალოგის და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების მიზანს არ მოემსახურება - პარალელურად დაგვიგმილია საგანმანათლებლო ლექციების კურსი ნებისმიერი მსურველისთვის. მას ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრი კურირებს, რომელიც უედაგოგებისთვის გზამკვლევის ფუნქციის მქონე სპეციალურ ელექტრონულ პაკეტს ამზადებს. საჯარო ლექციებს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები და მონვეული სპეციალისტები სამივე ქალაქში ჩაატარებენ.

## ჭულია ქრისტეს მისახებ კობედიას გადაიღებს

ჟოლივუდელი მსახიობის, ჯულია რობერტისის სტუდია Red Om Films-ი, რეჟისორ დენის ლის (Dennis Lee) მიერ გადაღებული სტუდენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმის საფუძველზე, ახალი კომედიის გადაღებას აპირებს, სახელწოდებით - "იესო ჰენრი ქრისტე". ფილმი მოთხრობილი იქნება ფემინისტი ქალის მიერ გაზრდილი პატარა ბიჭის ისტორია, რომელიც ათი წლის ასაკში გადაწყვეტს თავისი ბიოლოგიური მამა იმოვნოს. ფილმის სრულმეტრაჟიანი ვერსიის რეჟისორი და სცენარის ავტორი ასევე დენისლი იქნება. ჯერჯერობით უცნო-

ბია, ითამაშებს თუ არა თავად რობერტისი, თავისი სტუდიის მიერ გადაღებულ ახალ ფილმში. Hollywood Reporter-ის ინფორმაციით, ჯულია რობერტისი მარგო ბერვინის (Margot Berwin) ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი რომანის - Hothouse Flowers ("ყვავილების სათბური") ეკრანიზაციის პროდიუსერი იქნება და მთავარ როლსაც შეასრულებს. სტუდია Columbia Pictures-ის პროექტში რობერტისი განქორწინებული ქალის როლს ითამაშებს, რომელსაც სარეკლამო სააგენტოში საკუთარ სამუშაოზე გული აუცრუვდება. იგი ავანტიურაში გაეხვევა, რომელიც მას იქმი-

იყვანს, სადაც ვერასდროს წარმოიდგენდა მოხვედრას. გავრცელდა ინფორმაცია, ასევე ჯულია რობერტისის კიდევ ერთი პროექტის შესახებ. მსახიობი მონაწილეობას მიიღებს რეჟისორ ტონი გილროას მიერ გადაღებულ ახალ ფილმში, სახელწოდებით "ორპირობა" (Duplicity), სადაც იგი მენეჯერის როლს შეასრულებს, რომელიც კონკურენტი ფარმაცევტული კომპანიის წინააღმდეგ ინდუსტრიული ჯაშუშობითაა დაკავებული. ფილმი ითამაშებენ ასევე კლაივ ოუენი, ბილი ბობ ტორენტონი და ტომ უილკინსონი. აღსანიშნავია, რომ გასულ

წელს ჯულია რობერტისმა რეჟისორ დენის ლის მიერ გადაღებულ ფილმში "ციცინათელები ბაღში" (Fireflies in the Garden) ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. 117 წუთიანი ფილმი ერთი ჩვეულებრივი ოჯახის შიდა განხეთქილების ისტორიას მოგვითხრობს, რომლის ყველა წევრს საკუთარი ტრაგედია აქვს. ცოლი ქმრის გამო ავტოკატასტროფაში იღუპება, მათი შვილი მაიკლი, რომელიც ალკოჰოლიკ კელივად დაქორწინებული, გადაწყვიტავს თავისი ბავშვობის შესახებ წიგნი დაწეროს, თუმცა მის ამ გადაწყვეტილებას, მთელი ოჯახი შეენინაღმდეგება.



# ხელოვნება სიკეთისათვის და "კაბა" თუმანიშვილი

ნინო მამარლაშვილი



ნინო მამარლაშვილი

I am a dress, I am a dress დიას, ის კაბაა, თანაც ფრანგული. წარმოშობით იქედან, სადაც მოდა განვითარდა, ამიტომ ცოტა პრეტენზიულია და კეკლუცი. უყვარს ცეკვა, ვაგნერი, ბახი და მოცარტი. კიდეც შამპანური და სიგარეტი სექსუალობისთვის. საფრანგეთიდან მოსკოვის ტანსაცმლის მაღაზიაში მოხვდა, იქიდან საქართველოში და მერე ქართველი თათას გარდერობში დაიდო ბინა... აქედან იწყება მისი თავგადასავლები. იცვლის თაობებს, ფიქრობს ადამიანებზე, ოცნებობს, ჩხუბობს, ტირის და იცინის.

მერე თუმანიშვილის სცენაზეც აღმოჩნდება და ჰილარი ვუდისა და თამარ ბართაიას დადგმულ პიესაში მთავარი როლსაც ითამაშებს. როგორც უკვე გითხარით ის კაბაა, თანაც ფრანგული.

ინგლისურენოვანი სპექტაკლი მაყურებელს ლამაზ, თავგადასავლებით საესე ამბავს ისეთი მრავალფეროვნებით უხატავს რომ ვერც კი ვამჩნევთ თუ სცენაზე მხოლოდ ერთი მსახიობი თამაშობს.

თამარ ბართაიას ეს სპექტაკლი, რომელშიც მთავარ როლს ახალგაზრდა მსახიობი თამარ ბზიავა თამაშობს, 2007 წელს ედინბურგის ფესტივალზე იყო წარდგენილი და 4 ვარსკვლავით შეფასდა. როგორც თამარ ბართაიას სხვა სპექტაკლები, "კაბაც" ლონდონურ სცენაზე წარ-

მატებით სარგებლობს. გუშინ კი მას თუმანიშვილის სახელობის თეატრმა მეორედ უქაპინძლა და საქველმოქმედო მისიაც დააკისრა. ასე, რომ ხელოვნების მოყვარულ ქართველებს კიდეც ერთხელ მიეცათ საშუალება ჩაედინათ სიკეთე.

საქველმოქმედო საღამო ფონდ "პირველ ნაბიჯს" მიუძღვნა. ფონდის დამაარსებლები არიან ნინო ქადაგი-

ძე-ჟვანია და ჯეიმ კორბოი. შემოწირული თანხა შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებს გადაეცემა.

"ამ თეატრს და ჩვენ უკვე რამდენიმე საქველმოქმედო აქცია გვაკავშირებს. ეს არ არის პირველი. ხან გვაბატიყებენ სპექტაკლებზე, ხან ჩვენი ბავშვების სპექტაკლებისთვის გვითმობენ სცენას.

რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნე-

ლოვანია მატერიალური დახმარება მათთვის, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ საზოგადოება ჩართულია ამ ყველაფერში. იგებენ რას ვაკეთებთ, როგორ ვაკეთებთ და სურვილი აქვთ დაეხმარონ ბავშვებს" - აცხადებს ქალბატონი ნინო ჟვანია - "რაც შეეხება, სპექტაკლს, ალფრედოვანებუ-ლი ვარ, როგორ ითამაშა მსახიობმა,

როგორ იმუშავა, მოამზადა სპექტაკლი. საერთოდ არ იგრძნობოდა, რომ ეს არ იყო მისი მშობლიური ენა. იდეაც და პიესაც ძალიან კარგია. ყველაფრისთვის მინდა მადლობა ვუთხრა ამ კოლექტივს"

დარბაზში გაიმართა ბავშვების ნახატების გამოფენა. შემოწირულობასთან ერთად დამსწრეებმა ნახატები შეიძინეს. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა ქეთი დოლიძემ აღნიშნა, გამოფენა დარბაზში დარჩება და ყოველი სპექტაკლის დაწყების წინ გამოაცხადებენ მის შესახებ.

"ძალიან კმაყოფილი ვარ. ნინო ჟვანია და ჯეიმ კორბოი არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებენ. ჩვენც გვინდა როგორმე დავეხმაროთ და ვითანამშრომლოთ მათთან. ეს არ არის ერთფერადი აქცია. იგი გაგრძელდება" - აცხადებს ქეთი დოლიძე.

"მე მეორედ ვნახე ეს სპექტაკლი. ვხედავ, როგორ გაიზარდა თამარ ბზიავა! გაიზარდა ფიზიკურადაც და გაიზარდა როგორც მსახიობი. სულ სხვანაირი შეფასებები, სხვანაირი სცენები დავინახეთ. სულ სხვანაირად აღიქვამს სამყაროს მისი გმირი... ძალიან საინტერესოა. ყველაფერი საქველმოქმედო - ეს ბედნიერებაა, რომ ადამიანებს შეუძლიათ სიკეთის გაკეთება გაუთავებლად. ყოველთვის ველოდები, რომ თეატრში იქნება ბევრი ხალხი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამას არ ველოდებოდე" - განაცხადა დარბაზში მყოფმა გურანდა გაბუნიაძემ.

## რაც უკვე იყო და მოგონებად დარჩა

გალერეა "ჰობი" და ჭემალ კუხალაშვილის ახირებულ ნამუშევართა კიდობანი

თამარ ჯიქნაველიძე

გალერეა "ჰობი" უკვე 14 წელია თანამშრომლობს მხატვარ ჯემალ კუხალაშვილთან. ამ ავტორის პერსონალური გამოფენა აქ მეორედ ეწყობა, ამჯერად სახელწოდებით "რეტროსპექტივა".

ზეთსა და გრაფიკაში შესრულებული ნამუშევრები მხატვრის ორმოცწლიან შემოქმედებას ასახავს, მხოლოდ ერთი განსხვავებით - ექსპონირებულ ნახატებს თან ჯემალ კუხალაშვილის ლექსებიც ახლავს...

ავტორი მიიჩნევს, რომ პოეზია მის ტილოებს ავსებს და აცოცხლებს. მისი ნახატები და ლექსები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იქმნება, საბოლოოდ კი ეხმიანება სათქმელს, რომელიც მხატვარს აწუხებს.

სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრები სამივე დარბაზშია ექსპონირებული. დიდი ზომის ტილოებზე შექმნილ კომპოზიციათა უმრავლესობა მრავალფეროვანია. ჯერ მათი ფერადოვნება "მოგჭრით" თვალს, შემდეგ კი აღმოაჩენთ, რომ თითოეული თხრობითია. ავტორი მასალას უშუალოდ იყენებს. ფართო მონასმებით ცდილობს გადმოსცეს განწყობა, რომელიც თბილისის ძველი უბნების ქუჩებში, ეზოებში, სახლებსა თუ ყოფითი დეტალებით გაჯერებულ ოთახებში სუფევს. პერსონაჟები მასთან, თითქოს, მხოლოდ კომპოზიციათა მრავალფეროვნებისთვის იქმნება. ამის პარალელურად, ადამიანის პიროვნული ნიშან-თვისებებისა თუ ხასიათის გადმოცემას ის პორტ-

რეტებში ცდილობს.

ამ რეტროსპექტივაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რელიგიურ თემებზე შექმნილ ნამუშევრებს. ჯემალ კუხალაშვილის გმირები რელიგიურ პერსონაჟებს არაფრით მოგაგონებთ, მხატვარი მათ ყოფით გარემოში წარმოაჩენს და სახელწოდებებიდან გვამცნობს, რომ ეს ნოეს ეზოა, ის კი - ჯვარზე გაკრული ბარნაბა...

**ჯემალ კუხალაშვილი:** - ექსპოზიციისთვის, რომელსაც "რეტროსპექტივა" ვუწოდებ, ძველ და ახალ ნამუშევრებს მოვუყარე თავი. ვფიქრობ, რომ მათში კარგად ჩანს თუ რამდენად შეიცვალა თბილისის პეიზაჟი, სხვანაირები გახდნენ ადამიანებიც... აქ წარმოდგენილ ნამუშევართაგან რამდენიმე, შეიძლება ითქვას, რომ წინასწარმეტყველურია და იმ მოვლენებს ასახავს, რომლებიც მოგვიანებით განვითარდა ან განვითარდება... მხატვარი ხშირად იმ საიდუმლოს მატარებელია, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იცის...

**- ამ რეტროსპექტივაში ნამუშევრები რა ნიშნით გააერთიანეთ?**

- ჩემი სურვილი იყო მომეწყო გამოფენა, რომელიც მოვლენათა ცვალებადობას ასახავდა... ამას გარდა, მიმაჩნია, რომ ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები, იქნება ეს სახვითი ხელოვნების ნიმუში თუ მუსიკალური კომპოზიცია, უნდა გადმოსცემდეს პიროვნების სულიერ სამყაროს, მის ფსიქოლოგიასა თუ ჭკრეტის უნარს... მხატვარი სილამაზის მატარებელია, ის ქალაქში დადის, რათა ტილოზე დღევანდლობით გაჯერე-

ბული მოვლენები გამოსახოს. ჩემი ნამუშევრები, უპირველესად, გახსენება იმისა, რაც უკვე იყო და მოგონებად დარჩა... ამ ტილოებიდან ბევრი დღეს პირველად გამოიფინა...

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ იყო დრო, როდესაც ნამუშევრების თემატიკას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და "ახირებული ნამუშევრები" არავის ჭირდებოდა... ასე კომუნისტების დროს ხდებოდა... მაშინ საკუთარ ჭკუაზე სიარული ადვილი საქმე არ გახლდათ... სწორედ ამიტომაც ვინახავდი მათ "კიდობანში", რომელსაც თავი ახლა მოვხვენი და ბევრი რამ გამოვამუშეურე...

**- ექსპოზიციის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიურ თემებზე შექმნილ ნამუშევრებს. თუმცა, თქვენი გმირები რელიგიურ პერსონაჟებს არაფრით გვახანან...**

- აქ მაცხოვარის ფიგურაც კი მისთვის უჩვეული კომპოზიციებშია ჩართული, მაგალითად ბაზარში, სადაც ის ადამიანების გარემოცვაში დგას და თვალს ადევნებს იმას, რაც მის გარშემო ხდება... როდესაც რელიგიურ სცენებს ვხატავ, ჩურჩულით ვლოცულობ და ვტირი კიდევ...

**- თქვენი პოეზიით გატაცებას რაც შეეხება?**

- ქართველი კაცისთვის წერაკითხვის უცოდინარობა სირცხვილია... მე ლექსების წერა იმიტომ დავინწყე, რომ წერა-კითხვა მესწავლა... ვფიქრობ, რომ ლიტერატურა ჩემს ნახატებს ავსებს. მათ გარეშე ჩემი ნახატები ვერ წარმომიდგენია.

## პროპილუს ცენტრი ფემინისტურ გამოფენას უამოგვითავაზებს

პარიზის ცენტრში მდებარე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი პომპიდუ, 2009 წლის 27 მაისს უპრეცედენტო გამოფენას გამართავს, სადაც მხოლოდ ქალების მიერ შექმნილი ექსპონატები იქნება წარმოდგენილი. AFP-ს ინფორმაციით, ექსპოზიციას, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იმოქმედებს, 200 ავტორის 500 ნამუშევარი გამოიფინება. მუზეუმის დირექტორის ალფრედ პაკმენის (Alfred Pacquement) თქმით, ასეთი სახის გამოფენა მსოფლიოში ჯერ არ ყოფილა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრების: ფრიდი კალოს, სონი დელონეს, ჯოან მიტჩელის,

მოქანდაკე ლუიზ ბურჟუას და სოფი კალეს, ფოტოგრაფ დიანი არბუსის და ჟიზელ ფროინდის, სიზაინერ ეილინ გრეის და არქიტექტორ საპი ჰადიდის ნამუშევრები. გამოფენის ორგანიზატორებმა ექსპოზიციისთვის მონაწილეობისთვის ფემინისტური მუშაუბრები და ფილოსოფოსები მოიწვიეს. როგორც მოსალოდნელია ისინი ფილმების პროდიუსერები იქნებიან და დამსწრე საზოგადოებისთვის კონფერენციებს გამართავენ.

პომპიდუს ცენტრში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის მოგროვილი ექსპონატების რაოდენობა 50 ათას შეადგენს, აქედან 17 პროცენტი მათი ქალი მხატვრების მიერაა შექმნილი.

### განცხადება

სს ივერტანკის ფიზიკურ პირ მენაბრეთა საყურადღებოდ, რომელთაც აქვთ ანაბარი აშშ დოლარებში და ლარებში გარდა რუსული მანეთისა, გთხოვთ გამოცხადდეთ სს ივერტანკის სალიკვიდაციო კომისიაში ანაბრის მისაღებად 2009 წლის 20 მარტამდე.

აღნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები და პირადი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, სადაც მოვახდენთ ანაბრის ჩარიცხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თარიღის გასვლის შემდგომ პრეტენზიები აღარ მიიღება.

მისამართი: დ. წყნეთი, გურამიშვილის ქ. N39 (საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შენობა, მე-4 სართული).

ტელ: 899-511-382

ლი კ ვ ი დ ა ტ ო რ ი



# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს საქართველოს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი  
შესყიდვის ობიექტი – ავტომობილების ტექნიკური მომსახურება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 6 ლოტად სხვადასხვა ხაზისა და ქვეყნის წარმოების ავტომობილების გამართულად ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ტექნიკური მომსახურების (ავტორეპარატორების) შესყიდვაზე:

ლოტი №	მომსახურების გასაწევი რეგიონის დასახელება
1	თბილისი
2	სამეგრელო - ზემო სვანეთი (ქ. ფოთი ან მისი მიმდებარე ტერიტორია)
3	იმერეთი (ქუთაისი ან მისი მიმდებარე ტერიტორია)
4	კახეთი (თელავი ან მისი მიმდებარე ტერიტორია)
5	სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე ან მისი მიმდებარე ტერიტორია)
6	აჭარა (ბათუმი ან მისი მიმდებარე ტერიტორია)

- ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ რეზიდენტ და არარეზიდენტ, ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
- ავტორეპარატორების უნდა განსორციელდეს ლოტების მიხედვით, შესაბამის ქალაქებში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტში 2009 წლის 2 აპრილის 9:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, მე-16 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
  - იურიდიული პირებისათვის:
    - ცნობა საკვალიფიკაციო ორგანიზაციისგან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
    - ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
    - ამინაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
  - ფიზიკური პირებისათვის:
    - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
  - როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
    - პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
    - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირთა რეესტრში;
    - ცნობა საკვალიფიკაციო ორგანიზაციისგან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
    - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შესვლად არ არსებობს შესახებ;
- სატენდერო წინადადება შეყვანდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2	ტექნიკური შესაძლებლობები - ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით	0,30
3	პერსონალის კვალიფიკაცია/გამოცდილება	0,15
4	ანგარიშსწორების პირობები	0,05
სულ:		1,00

- სატენდერო წინადადება არ წაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელშიც მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეყვანებისთვის აუცილებელი ინფორმაცია მე-6 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- მოცემული შესყიდვის ფარგლებში და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში სუბკონტრაქტორის მონაწილეობის შემთხვევაში სუბკონტრაქტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პრეტენდენტის მიმართ წინამდებარე განცხადებით წაყენებული ყველა მოთხოვნა და წარმოადგინოს ყველა შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია.
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ მე-15 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 2009 წლის 12 მარტის 09:00 სთ-დან 2009 წლის 1 აპრილის 18:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, სატენდერო კომისიის აპარატი.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ, ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 2 აპრილს 15:00 სთ-ზე.
- ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების დირებულების 2%-ის ოდენობით.
- შერჩევის დროს შემდგომ დახურვებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
- აღტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება
- სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში  
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000  
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ავტომობილების ტექნიკური მომსახურება,  
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

16. ტენდერში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9 ტელ. - ფაქსი: (+995 32) 261-337, 261-335. საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თეოდორაძე, ელ-ფოსტა: [a.tevdoradze@mof.ge](mailto:a.tevdoradze@mof.ge).

**შენიშვნა:**  
არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან, ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	სატენდერო წინადადების დირებულება (ტარიფები)	0,50

## 05 მარტი 2009 წელი ქ. თბილისი საქმეები: N09/1-73, N09/1-74, N09/1-75.

### და დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე

შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში იხილება პრეტენდენტის - ლიანა მეტივიშვილის საარბიტრაჟო პრეტენზიები მოპასუხეების დავით ბოკუჩავას, ალიოშა გონოევის და გელა გონოევის მიმართ დავალიანების გადახდის თაობაზე.

2008 წლის 27 აგვისტოს, რ/რ №1-4966, 2007 წლის 03 ოქტომბრის, რ/რ №1-3629 და 2007 წლის 03 ოქტომბრის რ/რ № 1-3631 სესხის და გირავნობის ხელშეკრულებების საფუძველზე პრეტენდენტი ლიანა მეტივიშვილი ითხოვს მოპასუხეებისგან: 1) დავით ბოკუჩავასგან: ა) სესხის ძირითად თანხას 3 500 აშშ დოლარს, ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0,3%, ყოველდღიურად, რაც შეადგენს 10,50 აშშ დოლარს 2008 წლის 27 ოქტომბრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. 2) ალიოშა გონოევისგან პრეტენდენტი ითხოვს: ა) სესხის ძირითად თანხას 2 280 აშშ დოლარს, ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0,3%, ყოველდღიურად, რაც შეადგენს 8,23 აშშ დოლარს 2008 წლის 03 აგვისტოდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. 3) გელა გონოევისგან პრეტენდენტი ითხოვს: ა) სესხის ძირითად თანხას 2 280 აშშ დოლარს, ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0,3%, ყოველდღიურად, რაც შეადგენს 8,23 აშშ დოლარს 2008 წლის 03 ნოემბრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. პრეტენდენტი ასევე ითხოვს მის მიერ გადახდილი სა-

არბიტრაჟო მოსაკრებლის და საარბიტრაჟო განხილვის სხვა ხარჯების მოპასუხეებზე დაკისრებას და გირავნობის უფლებით დატვირთული მსუბუქი ავტომანქანების იძულებით აუქციონზე რეალიზაციას. საარბიტრაჟო სხდომები ვერ ჩატარდა და რამდენჯერმე გადაიდო იმის გამო, რომ მოპასუხეთა ადგილსამყოფელი უცნობია და მათთვის საქმის მასალების და საარბიტრაჟო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ მოხერხდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟმა იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 და 78-ე მუხლებით, შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების 6.16-ე მუხლით,

### და ა დ ვ ი ნ ა :

1. მოპასუხეებს დავით ბოკუჩავას, ალიოშა გონოევის და გელა გონოევის მცხოვრებთ: ქ. თბილისი, ლიანის ქ. №1, ბ. №28, ქ. თბილისი, ვარკეთილის მას. II მ/რ, კორპ. №25, ბ. №21, გაეგზავნეთ საჯარო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ 1) პრეტენდენტის ლიანა მეტივიშვილის საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვა მოპასუხე დავით ბოკუჩავასთან ჩატარდება 2009 წლის 25 მარტს, 12.00 სთ-ზე, 2) მოპასუხე ალიოშა გონოევთან ჩატარდება 2009 წლის 25 მარტს, 13.00 სთ-ზე და 3) მოპასუხე გელა გონოევთან ჩატარდება 2009 წლის 25 მარტს, 13 სთ და 30 წთ-ზე შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №50.
- აღნიშნული დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს საარბიტრაჟო უწყება მოპასუხეებისთვის ჩაბარებულად ითვლება.

არბიტრაჟის თავმჯდომარე:  
/იასონ ადამაშვილი/



# სპორტი

## რეგიონული საჭილდაო ბრინჯაო

მხილ ახალი

გუშინ დასრულდა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 23-ე ტური, რომელმაც კიდევ უფრო მეტად დაძაბა სატურნირო მდგომარეობა. გამოიკვეთა მედლებისთვის მებრძოლი ოთხი გუნდი, უფრო ზუსტად, ორი ტანდემი, რომლებსაც განსხვავებული მიზნები აქვთ. კერძოდ, უკვე ფაქტია, რომ ოქრო-ვერცხლს ერთმანეთში გაითამაშებს ორი დედაქალაქური გუნდი - ლიდერი "ვიტ ჯორჯია" და ჩემპიონი "დინამო". ახლა ამ გუნდებს შორის ქულათა სხვაობა მინიმალურია და იმის გამო, რომ უახლოეს მდევრებს ქულათა საკმაოდ მარაგით უსწრებენ, მათ დავაში ალბათ ველარავინ ჩაერევა. რაც შეეხება მესამე ადგილს, აქაც ანალოგიური ვითარებაა. ეგრეთ წოდებული "მცირე ოქროსთვის" ორი რეგიონული წარმომადგენელი იბრძვის და იმის თქმა, თუ რომელს აქვს უკეთესი შანსი, თითქმის შეუძლებელია. სწორედ ამ ორი გუნდის დაპირისპირებით გამოირჩა 23-ე ტური: საქართველოს ექს-ჩემპიონმა რუსთავის "ოლიმპს" საქართველოს თასის მფლობელ "ზესტაფონს" ეგრეთ წოდებულ 6-ქულიან დაპირისპირებაში უმასპინძლა. სიტუაციას ისიც ამწვავებდა, რომ ამ მატჩამდე "ზესტაფონი" მეტოქეს ზუსტად 3 ქულით, ანუ ერთი მოგებით უსწრებდა და თუ "ოლიმპი" გაიმარჯვებდა, გუნდები ყველა მარჯვენა მხარეს დაიშორებოდნენ ერთმანეთს. ეს დამატებითი მოტივაცია გამოდგა მასპინძლებისთვის, რომლებმაც ურთულეს ორთაბრძოლაში შეძლეს წარმატების მიღწევა.



"ლოკომოტივი" და "მესხეთმა" ქულები გაიყვეს

მატჩის წინ ზესტაფონელთა მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე ამბობდა, რომ მისი გუნდი რუსთაველი მოსაგებად მიემგზავრებოდა, რაც "ზესტაფონს" უმაღლესი მიზნისთვის ბრძოლაში დარჩენის კარგ შანსს დაუტოვებდა. თუმცა, განცხადება განცხადებად დარჩა. საინტერესოა ამ გუნდების ურთიერთობის ისტორიაც. წლებიდან დღემდე "ოლიმპს" "ზესტა-

ფონისთვის" არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული, მათ შორის, არც რუსთაველთათვის ტრიუმფალურ 2006-07 წლის სეზონში, როცა ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა. "ოლიმპს" მხოლოდ მიმდინარე სეზონში, თანაც გასული მატჩში გატეხა ანგარიშით: პირველ ნრეში ამ გუნდების შეხვედრა, რომელსაც რუსთაველა უმასპინძლა, უგოლოდ დასრულდა, მეორე ნრის სტარტზე კი "ოლიმპს" სტუმრად მინიმალური ანგარიშით - 1:0 გაიმარჯვა. მაშინ გამარჯვების გოლი მეგრულად გაიტანა.

მეორე ნრის ისტორია განმეორდა: გამარჯვება, თანაც ისევ მინიმალური ანგარიშით - 1:0 ისევ "ოლიმპს" დარჩა. გამარჯვების გოლი გაიტანა მცველმა, რომელიც წინა სეზონში "ზესტაფონის" ღირსებას იცავდა - საუბარია რუსთაველთა გაბონელ ლეგიონერ ერნესტ აკუასაგაზე, რომელიც შარშან "ზესტაფონში" იყო განათხოვრებული და ამ გუნდთან ერთად საქართველოს თასი მოიგო.

ნელს აკუასაგა თავის კლუბს დაუბრუნდა, წარმატებულად თამაშობს და გუშინ ამ გუნდისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა. ეს მეცხრე ნუთზე მოხდა: აკუასაგამ ლამის მთელი მოედანი გადალახა, ფლანგზე გაჭრილ ბაზუნაშილითან კედელი გაითამაშა და ზუსტი დარტყმით ზესტაფონელთა მეკარე კვასცხაძეს შანსი არ დაუტოვა. დარჩენილ დროში როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა. "ოლიმპს" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და ქულებით გაუთანაბრდა "ზესტაფონს".

წინა დღეს გამართულ ტურის ორ შეხვედრაში ლიდერებმა - "დინამომ" და "ვიტ ჯორჯიამ" გაიმარჯვეს. ვეტერინარებმა სტუმრად დიდი ანგარიშით - 4:0 დაამარცხეს "ბორჯომი", რაინერ ცობელის გუნდმა კი მინიმალური სხვაობით - 1:0 სძლია "გაგრას".

გუშინდელი ტურის კიდევ ორ შეხვედრაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა: "ლოკომოტივი" და ახალციხის "მესხეთი" მიხეილ მესხის არენაზე უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს, ხოლო ზუგდიდში "მგლებმა" თორდის და ონიანის გოლების წყალობით - 2:0 დაამარცხა ბოლნისის "სიონი".

### 23-ე ტური

გაგრა - დინამო	0:1
ბორჯომი - ვიტ ჯორჯია	0:4
ოლიმპი - ზესტაფონი	1:0
ლოკომოტივი - მესხეთი	0:0
მგლები - სიონი	2:0
ვიტ ჯორჯია	21 14 6 1 38:12 48
დინამო	21 15 2 4 46:15 47
ოლიმპი	20 9 9 2 23:11 36
ზესტაფონი	20 11 3 6 24:14 36
სიონი	20 7 8 5 22:18 29
ლოკომოტივი	20 8 4 8 23:19 28
მესხეთი	21 5 8 8 15:25 23
მგლები	21 6 4 11 19:27 22
გაგრა	21 6 4 13 14:35 16
სპარტაკი	20 3 4 13 18:35 13
ბორჯომი	21 2 6 13 16:47 12

### ალო. გუდაური-2

არასამთავრობო ორგანიზაცია "ალო, გუდაური", რომელიც კავშირგაბმულობის ოპერატორებს აერთიანებს, კვირას გუდაურში სამთოსათხილამურო სპორტში ატარებს ტურნირს. უკვე ტრადიციად ქცეულ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ "მაგთის", "ჯეოსელის", "ბილანისა" და ელექტროკავშირის წარმომადგენლები.

ცნობისთვის: მსგავს ასპარეზობას შარშან ჰქონდა დებიუტი.

### დაგნიძე ისევ ლიდერია

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ისევ ლიდერობს ქართველი ნანა დაგნიძე. სამი ტურის შემდეგ მაქსიმალური შედეგი, დაგნიძის დარად, კიდევ ზუთ მოჭადრაკეს აქვს, თუმცა, დამატებითი მარჯვენა მიხედვით, ნანა პირველ ადგილზეა. მესამე ტურში დაგნიძე არცთუ სუსტ პოლონელ იოლანტა ზავადსკას გადაეყარა, მაგრამ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

მეოთხე ტურში ქართველი მოჭადრაკე შავი ფიგურებით ეთამაშება რუმინელ კრისტინა-ადელა ფოიდორს, რომელსაც ასევე 3 ქულა აქვს.

ლიდერთა ექვსეულს ნახევარქულიანი ჩამორჩენით მისდევს 21 მოჭადრაკე, რომელთა შორის ხუთი ქართველია - მაია ლომინიძე, სალომე მელია, ნინო ხურციძე, სოფიო ხუბაშვილი და სოფო გვეტაძე. ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე, საპრიზო ადგილების გარდა, მსოფლიო თასზე გამსვლელი 14 საგზურიც ეთამაშდება, რომლისთვისაც 35 ქვეყნის წარმომადგენლები (მათ შორის 64 საერთაშორისო დიდოსტატი) იბრძობენ.

ჩემპიონატი 20 მარტამდე გასტანს და შვეიცარიული სისტემით, 11 რაუნდად ჩატარდება. დროის კონტროლი ასეთია: საათნახევარი 40 სვლაზე, შემდეგ კი 30 წუთი პარტის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

### ქართველი ჩოგბურთელები რეიტინგში დაქვეითდნენ

დევისის თასის ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში ლიტვასთან მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა რეიტინგში ოთხი ადგილი დაკარგა და 44-ე საფეხურზე აღმოჩნდა.

ვიქტორ ბაკის მიერ დარიგებული ქართველები ბალტიისპირელებს 2:1-ს უგებდნენ, თუმცა, დასკვნითი დღის ორივე შეხვედრა დამეს და ახლა მეორე ჯგუფში დასარჩენად ეგვიპტის დამარცხება მოუწევთ. ლიტვებთან მარცხის გამოისობით, საქართველოს ნაკრებს 508.76 ქულა შერჩა და მე-40 პოზიცია 44-ეზე გაცვალა. ბალტიისპირელები კი 76-დან 64-ე ადგილამდე აღზევდნენ.

დევისის თასის რეიტინგში პირველ ადგილს ინარჩუნებს რუსეთის გუნდი, რომელსაც ესპანეთი და აშშ უდგანან კვალში.

მე-16 საფეხურიდან მერვეზე გადაინაცვლა ისრაელის ნაკრებმა. ებრაელებმა შედეგით გუნდს სძლიეს. თავის მხრივ, სკანდინავიელები მეუთედან მეშვიდე საფეხურზე აღმოჩნდნენ.

დიდი წინსვლა განიცადა უკრაინის გუნდმაც, რომელმაც ენდი მიურეის გარეშე მოთამაშე დიდი ბრიტანეთი 4:1 დაამარცხა.

უკრაინელებმა 41-ე ადგილი 28-ეზე გაცვალეს.

დევისის თასის რეიტინგი 10 მარტისთვის	
1.რუსეთი	27 897.50
2.ესპანეთი	27 243.75
3.აშშ	26 705.00
4.არგენტინა	22 238.75
5.გერმანია	9 170.01
6.ხორვატია	7 247.50
7.შვედეთი	7 168.75
8.ისრაელი	5 394.06
9.ჩეხეთი	5 393.75
10.ავსტრალია	4 350.00
11.სლოვაკეთი	3 693.75
12.საფრანგეთი	3 500.00
13.სერბეთი	3 132.81
14.შვეიცარია	2 912.50
15.ბელგია	2 871.88
16.ავსტრია	2 750.00
17.რუმინეთი	2 437.50
18.ჩილე	2 422.50
19.ინდოეთი	2 300.00
20.კორეა	2 236.88
44.საქართველო	508.76

## საქართველო-რუმინეთი დასწრება უფასოა!

14 მარტს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ევროპის "ერთა თასის" გათამაშების მორიგ პრინციპულ მატჩში რუმინეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ მორაგბეთათვის. 2011 წლის მსოფლიო თასზე გასვლისთვის თითოეულ ქუ-

ლას ოქროს ფასი ენიჭება, ამიტომ ორი უძლიერესი ნაკრების მატჩი უშეღავათო ბრძოლაში ჩაივლის. ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გულშემატკივართა თანადგომა, მით უფრო, რომ ერთი კვირის შემდეგ მარიუპოლში ჩვენს ნაკრებს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თამაში

აქვს რუსეთის ნაკრებთან. მამუკა გორგოძე: "ჩვენი ნაკრები ყველაფერს აკეთებს საქართველოს ღირსებას დასაცავად. თავს არ ვზოგავთ, რომ ჩვენი გულშემატკივარი გავახაროთ. ძალიან გვინდა, რომ სავსე ტრიბუნების წინ ვითამაშოთ. მგონია დავიმსახურეთ, რომ ერთხელ მაინც გაივსოს ტრი-

ბუნები სარაგბო მატჩისას მაშინ, როცა რუსეთის ნაკრებს არ ვეთამაშებით. იმედი მაქვს, გულშემატკივარი მრავლად მოვა სტადიონზე. რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, მატჩზე დასწრება უფასო იქნება. მინდა მთელი გუნდის სახელით მივმართო გულშემატკივარს: მოდით და გვიქომაგეთ."



### ფრინგის და ფრიცი ბუნდებიან

ბრემენის "ვერდერის" ნახევარმცველმა ტორსტენ ფრინგმა და მცველმა კლემენს ფრიცმა თავიანთი ტრავმები მოიშუშეს და სამშაბათს გუნდთან ერთად ივარჯიშეს. თუმცა, გუნდის მწვრთნელმა ტომას შაფმა ჯერ არ იცის, შეძლებენ თუ არა ისინი ხუთშაბათს "სენტ ეტიენის" წინააღმდეგ უეფას თასის პირველ, საშინაო მერვედფინალურ მატჩში თამაშს.

ასევე საჭოჭმანოა მესუთ იოზილის გამოსვლაც - მუხლის ტრავმის გამო ის სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს.

### კლოპმა კონტრაქტი გაახანგრძლივა

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 6 ბუნდესლიგურ მატჩში დორტმუნდის "ბორუსიამ" მხოლოდ 4 ქულა მოიხვეჭა და ახლახან გერმანიის თასის მეოთხედფინალიდანაც გავარდა, კლუბის მესვეურები მზად არიან, 41 წლის მწვრთნელ იურგენ კლოპს კონტრაქტი (რომელსაც 2010 წლის 30 ივნისს გასდის ვადა) სულ მცირე, ორი წლით, ანუ 2012 წლამდე გაუხანგრძლივოს, - განაცხადა "დორტმუნდის" ბოსმა შანს-იოახიმ ვაცკემ გერმანულ მედიასთან საუბარში, - მაგრამ ჩვენ უფრო გრძელვადიანი გეგმები გვაქვს. ჩვენ ახალგაზრდა, დიდი პოტენციალის მქონე გუნდი გვყავს და, ადრე თუ გვიან, კლოპთან ერთად დიდ წარმატებებსაც მივალწევთ."

ბუნდესლიგის გათამაშების ცხრილში "დორტმუნდი" მე-9 ადგილზეა და 9 ქულით ჩამორჩება უეფას თასზე გამყვან ადგილს.

### "შალკე" კურანს არ გაყიდის

გელზენკირხენის "შალკემ" მოსკოვის "ლოკომოტივს" 27 წლის თავდამსხმელ კევინ კურანის მიყიდვაზე უარი უთხრა.

"წინადადება მივიღეთ, მაგრამ იძულებული ვართ, მასზე უარი ვთქვათ", - აღნიშნა ფეხბურთელის აგენტმა.

კურანი არ იყიდება! ასეთია კლუბის პოზიცია. არადა, "ლოკომოტივს" დაუყოვნებლივ უნდოდა მისი შექენა. საამისოდ მან კლუბსაც და ფეხბურთელსაც მაცდური წინადადებებით მიმართა. რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა ამ კვირის ბოლოს იხურება. ასე რომ, მოსკოველ რკინიგზელებს შეეძლოთ გერმანელი მეგობრე ახლავე გადაეყვანათ.

ცნობილია, რომ კურანი "შალკეში" მაინცდამაინც ბედნიერად ვერ გრძნობს თავს. კლუბის ან უკვე ყოფილმა მენეჯერმა ანდრეას მიულერმა ამ ცოტა ხნის წინ გაამხილა, რომ მას ჯერ კიდევ ზამთრის პაუზისას სურდა კლუბის გამოცვლა.

კურანი "შალკეში" 2005 წელს "შტუტგარტიდან" 7 მილიონი ევროს საფასურად გადავიდა და მის შემადგენლობაში ჩატარებულ 118 მატჩში 48 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე 8 გოლია. კლუბთან კონტრაქტი მას 2010 წლამდე აკავშირებს.

### "ბაიერნი" გლეზში 8 მილიონს იხდის

მიუნხენის "ბაიერნმა" "ბარსელონას" 27 წლის ბელარუს ნახევარმცველ ალექსანდრ გლეზში 8 მილიონი ევრო შესთავაზა. "რეკორდმაისტერს" გლეზის გადაბირება ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ეწადა, როცა ეს უკანასკნელი ლონდონის "არსენალის" წევრი იყო. მაგრამ ბელარუსი მოთამაშე 12 მილიონი გირვანქის საფასურად აღმოჩნდა "ბარსელონაში", სადაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

"მე ჩემი კარიერის პიკზე ვარ და ამ დროს სულაც არ მინდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, - თქვა გლეზმა წინა კვირაში, - "ბაიერნი" განსაკუთრებული კლუბია და მისი დაინტერესება ჩემთვის დიდი პატივია."

"არსენალში" გადასვლამდე ის 5 წლის (2000-05) განმავლობაში "შტუტგარტის" ლირსებას იცავდა და მის შემადგენლობაში 137 ბუნდესლიგური მატჩი ჩაატარა.

### აგენტი ბარნეტათი "არსენალის" დაინტერესების ფაქტს უარყოფს

ლევერკუზენის "ბაიერის" 23 წლის შვეიცარიელი ნახევარმცველის ტრანკილო ბარნეტას აგენტი ვოლფგანგ ფიოგე უარყოფს ფეხბურთელით ლონდონის "არსენალის" დაინტერესების ფაქტს.

"ეს აბსოლუტური სიცრუეა, - აღნიშნა მან, - იანვარში მისი შექენა "პორტსმუთმა" სცადა, მაგრამ "ბაიერმა" ის არ გაყიდა. ეგ იყო და ეგ - მას მერე პრემიერლიგიდან სხვა აღარავინ შემხიანებია. მისით "ლაციო" და "ვალენსიაც" ინტერესდებიან, მაგრამ თავად ტრანკილო პრემიერლიგაზე ოცნებობს."

ბარნეტას "ლევერკუზენტან" კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულამდე აკავშირებს და მისი საბაზრო ღირებულება 13 მილიონი ევრო უნდა იყოს.

# "რეკორდმაისტერის" ლიბური რეკორდი



ვითომ ამ კაცის ბრალია "რეალის" განადგურება?

სამშაბათს გამართულმა ჩემპიონთა ლიგის განმეორებითმა მერვედფინალურმა მატჩებმა პირველი ოთხი მეოთხედფინალისტის ვინაობა გვამცნო. თამაშები საინტერესო გამოდგა.

ცხადია, დღის მთავარი მატჩი "ენფილდზე" გამართა, სადაც "ლივერპულმა" მუსრი გაავლო "სამეფო კლუბს". ვინმე შეიძლება თქვას, რომ მერსისაიდელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ბელგელმა მსაჯმა ფრენკ დე ბლექერემ, რომელმაც ჯერ ჯარიმა არ დანიშნა "რეალის" სანარგებლოდ (რასაც "ლივერპულის" პირველი გოლი მოჰყვა) და შემდეგ კასილიასის კარში პენალტი მოიგონა. დაახ, ეს ორი შეცდომა აშკარა იყო, მაგრამ როდესაც გუნდი ორი მატჩის ჯამში 0:5-ს აგებს, მსაჯობაზე საუბარი ზედმეტია. მატჩის შემდეგ "რეალის" მწვრთნელს მართლაც არ უნუნუნია მსაჯის შეცდომებზე და "ლივერპულის" დამსახურებული გამარჯვება აღიარა. სამშაბათს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი დაფიქსირდა - "ბაიერნმა" არც საკუთარ მოედანზე დაინდო "სპორტინგე" და მეტოქეს 7:1 მოუგო. საბოლოოდ "რეკორდმაისტერმა" ანგარიშით 12:1 დაამარცხა მეტოქე, რაც ჩემპიონთა ლიგის რეკორდია.

**რადე ბენიტესი ("ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი):** "დღეს შესანიშნავი ფეხბურთი ვაჩვენეთ. მატჩის დასაწყისიდან ბოლომდე ერთ დონეზე ვითამაშეთ, რაც ძალიან მიხარია. არ ვიქნებოდი მართალი, ვინმე რომ გამოემჩნია ჩემი გუნდიდან - ყველა ფეხბურთელი შესანიშნავად ირეგობდა. ეს მოგება დამსახურებულია მოვიპოვეთ. ფერნანდო ტორესისა და ალვარო არბელოას მოედანზე გამოყვანა თამაშის წინ გადაწყვიტეთ. ტორესმა გოლი გაიტანა, არბელოამ კი მატჩი სრულად ითამაშა. მადრიდლებს ეგონათ, საკუთარ საჯარიმოში ჩავსხდებოდით და კონტრშეტევებზე ვითამაშებ-

დით, მაგრამ პირველივე წუთებიდან შევუტიეთ და ამით ფსიქოლოგიური ზეწოლა მოვახდინეთ მეტოქეზე. კარგად გამოვიდევართ ევროპულ არენაზე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მთამბეჭდავი შედეგები გვაქვს. გადამწყვეტ მატჩებს მალალ დონეზე ვითამაშობთ. ახლა შეგვიძლია შაბათამდე ვიზიმიოთ - ამ დღეს "მანჩესტერ იუნაიტედს" ვეთამაშებით. სასიხარულოა, რომ ისეთ ძლიერ გუნდს, როგორც "რეალია", ოთხი უპასუხო ბურთი გაუუტანეთ. უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგვეგო. ასე რომ, ჯერ კიდევ გვაქვს საშუალება მოვუმატოთ. "რეალთან" არავის არ ექნება ადვილი თამაში. ასეთ დროს ჩვენი ორი გამარჯვება ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება. მომდევნო ეტაპზე კიდევ ერთი დიდი კლუბი შეგვხვდება. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერს გაუმკლავდეთ."

**ხუანდე რამოსი ("რეალის" მთავარი მწვრთნელი):** "იმედგაცრუებული ვარ თამაშით და შედეგით. ორი სწრაფი გოლი გავუშვით, რის შემდეგაც მთელი ძალების გადასროლა მომიხდა შეტევაში, რამაც საშუალება მისცა "ლივერპულს" კონტრშეტევებზე ეთამაშა. "ლივერპული" დღეს საუკეთესო იყო და დამსახურებულად გაიმარჯვა. ჩვენ შევეცადეთ მასპინძელთათვის საკუთარი თამაში მოგვეხვია თავს, მაგრამ გაშვებულმა გოლმა ძალიან ჩემპიონთა ლიგაზე მოხანოილ ყველა გუნდი თანაბარია. აქ ევროპის საუკეთესო ძალები გამოდიან. ასე რომ, ნებისმიერი თამაშის ბედი შესაძლოა მცირე ნიუანსმა გადაწყვიტოს. ჩემი მოთამაშეები დათრგუნვილები არიან. ეს განწყობა მალე უნდა მოვიშოროთ. უახლოეს ვარჯიშამდე ყველამ უნდა დაივიწყოს ეს მარცხი, რათა მომდევნო მატჩისთვის კარგად მოვემზადოთ და პრიმერადივიზიონის შეხვედრა ღირსეულად გავმართოთ."

**გუსს ჰინდინკი ("ჩელსის" მთავარი მწვრთნელი):** "თამაში ფრთხილად დავიწყეთ, რამაც საშუალება მისცა "იუვენტუსს" გავერღვია ჩვენი დაცვა და ანგარიში გაეხსნა. ვერ შევძელით თამაში უცებ მოგვემატებინა, თუმცა ამას თანდათან მივალწევთ. საბედნიეროდ, შესვენებაზე გასვლის წინ ანგარიში გავათანაბრეთ. მეორე ტაიმში უფრო ხშირად გვექონდა ბურთი. მას შემდეგ, რაც დელ პიერომ დაანინაურა თავისი გუნდი, კიდევ ერთხელ მოგვიხდა თამაშის გაუმჯობესებაზე ფიქრი. შედეგად ძალიან მალე გავიტანეთ საპასუხო ბურთი. ლამაზი გოლი გამოვიდა. მისი ავტორი დროგა ჩვენთვის საჭირო მოთამაშეა, რადგან ის დაოსტატებულია არა მარტო ბურთის გატანაში, არამედ მონანილეობას იღებს გუნდის თავდაცვით სქემაშიც. გამოვარჩევ ანელკას, ასევე ესიენს, რომელმაც გოლი მიითვალა. ის იმიტომ შევცვალეთ, რომ ჯერ არ არის მზად, მთელი მატჩი მალალ დონეზე ითამაშოს. "იუვენტუსთან" თამაში, მით უფრო სტუმრად, ადვილი არ არის. მიუხედავად ამისა, ჩემი გუნდი კარგად გაისარჯა მატჩის გადამწყვეტ მომენტებში."

**კლაუდიო რანიერი ("იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი):** "მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ ლონდონური მატჩის დროს დავკარგეთ, რომელიც მინიმალური სხვაობით წავაგეთ. ჩემპიონთა ლიგა ისეთი ტურნირია, სადაც ბევრი წყვეტს მეტოქის მოედანზე გატანილი გოლი. ჩემს გუნდს მადლობას ვუხდით გამოჩენილი თავდადებისთვის. ჩვენ დავთმეთ მეოთხედფინალის საგზური შესანიშნავ გუნდთან. მეტოქემ დაგვიმტკიცა, რომ გარკვეულ ასპექტებში ჩვენზე ძლიერია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ურიგოდ ვითამაშეთ. "ჩელსის" ნაცვლად ჩვენ რომ გავსულიყავით მომდევნო ეტაპზე, არც ეს უნდა გააკვირვებოდა ვინმეს. შესვენებაზე ჯოვინკო მევეშვი

იაკინტას ნაცვლად. მინდოდა უფრო აქტიურად გვეთამაშა ფლანგებიდან, რადგან უმეტეს შემთხვევაში ვაგებდით საჰაერო ორთაბრძოლებს. ჯოვინკომ საგრძნობლად გააძლიერა ჩვენი გუნდი. ესიენის გოლი შესვენების წინ დიდი დარტყმა აღმოჩნდა ჩვენთვის. ჩვენი იმედი საბოლოოდ მას შემდეგ დასამარდა, რაც კიელინი გააგდეს და მოედანზე ათნი დავრჩით. მიუხედავად იმისა, რომ გოლი გავიტანეთ, ამან არაფერი შეცვალა. ათი კაცით "ჩელსის" ორბურთიანი უპირატესობით სძლიო, ძალიან რთული ამოცანაა, რაც ვერ გადავჭერთ."

**ჰენკ ტენ კეიტი ("პანათინაიკოსის" მთავარი მწვრთნელი):** "დღევანდელ შედეგს ვერ ვუნოდებ კატასტროფას. უკან მოვიტოვეთ ორი რთული თამაში შესანიშნავ გუნდთან. ასეთ დონეზე ყველაფერს წყვეტს მცირე დეტალები. ორივე გოლი ჩვენი შეცდომების წყალობით გავუშვით, ჩემპიონთა ლიგაში კი შეცდომების გამო ძალიან მწარედ ისჯებიან. ვერ ვუსაყვედურებ ჩემს გუნდს, რადგან ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მომდევნო ეტაპზე გავსულიყავით. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო მეორე გოლი, როცა სამი მოთამაშე უმეთვალყურეოდ დაეტოვეთ."

**მანუელ პელეგრინი ("ვილიარეალის" მთავარი მწვრთნელი):** "ძალიან გვიხარებ ამ მოგებით. ჩვენთვის განსაკუთრებული პატივია ვიყო ევროპის რვა უძლიერეს გუნდს მორის. დამსახურებულად გავედით მომდევნო ეტაპზე. ფრის მიუხედავად, პირველ მატჩშიც ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით. დღეს შესვენების შემდეგ ვითამაშებდით ისე, როგორც უნდა გვეთამაშა. შეტევაში დიდი ძალებით ჩავერთეთ და "პანათინაიკოსზე" დიდი ზეწოლა განვახორციელეთ. ფლანგებიდან მწვავედ შევუტიეთ. განსაკუთრებული სიმწვავეით მარცხენა ფრთა გამოირჩეოდა."

AFP - 2009



# ძიუდო ბაკურიანში შეიქმნა

მსოფლიო თასოვლილი საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრები თბილისის ევროპის ჩემპიონატამდე მზადებას განაგრძობს. უფრო სწორად, დღეიდან საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ბაკურიანში შეუდგება მზადებას. ამგვარი შეკრება კი თვის ბოლომდე გასტანს. ბაკურიანული მზადების შემდეგ საქართველოს ნაკრები დასკვნით წრეთა ბორჯომში შეუდგება.



სპორტსმენი ირაკლი ჯაფარიძე

ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, წონითი კატეგორიების ლიდერებს, სავარაუდოდ, ბაკურიანული შეკრების შემდეგ დაასახელებს, თუმცა, სეზონის დასაწყისში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების შედეგების გათვალისწინებით, შვიდიდან ხუთ წონაში უკვე ყველაფერი ნათელია. ახლახანს იყო ხაბარელმა რომ განაცხადა, ნესტორ ხერგიანმა (60 კგ.), ზაზა კედელაშვილმა (66 კგ.), ლევან ნიკლაშვილმა (81 კგ.), ვარლამ ლიპარტელიანმა (90

კგ.) და ლომერ ჟორჯოლიანმა (100 კგ.) შიდა კონკურენციაში საკუთარი უპირატესობა დაამტკიცეს.

თავისუფალი მხოლოდ 73 და მძიმე წონითი კატეგორიებია. წესით და რიგით ხაბარელს განწყვეტილების მიღება მეტნაკლებად გაუიოლდება 73 კი-

ლოგრამში. ნაკრების გამოცდილი წევრი დავით ქვეციშვილი, რომელმაც სეზონის დასაწყისი კანადაში გაატარა და ამის გამო ყველა საერთაშორისო ტურნირი გამოტოვა, თბილისში სულ მალე დაბრუნდება და ნაკრებთან ერთად განაგრძობს ევროსამზადის.

"ქვეციშვილი დასკვნით შეკრებაზე შემოგვიერთდება და იმედია, სრულ მობილიზებასაც შეძლებს. მძიმე წონაში კი, არჩევანს ალბათ ადამ ოქრუაშვილსა და ლაშა გუჯეჯიანს შორის ვაგვიკეთებთ", - ბაკურიანში გამგზავრებამდე განაცხადა ხაბარელმა.

## ექსტრემალური

### ბოლდერიანობისთვის ემზადებიან

საქართველოს მთავრობის ეროვნული ფედერაციისა და "მავთის" თაოსნობით, 13-14 მარტს, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით პირველად გაიმართება ოფიციალური შეჯიბრი ბოლდერიანობაში.

ბოლდერიანობაში, ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სპორტულ დარბაზში გაიმართება. ხვალ 12 საათიდან წინასწარი გარბენები შედგება, ფინალი კი 14 მარტს 14:00 საათზე დაიწყება.

ბოლდერიანობა მთამსვლელების მიერ დროის მოცემულ მონაკვეთში ბუნებრივი, ან ხელოვნური კედლის რამდენიმე ურთულესი მონაკვეთის გავლაა. ეს არის სპორტის ერთ-ერთი ყვე-

ლაზე პოპულარული სახეობა, რომელშიც შეჯიბრებები მსოფლიო თასზე ტარდება. ბოლდერიანობის შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ლენტეხიდან, მესტიიდან და ყაზბეგიდან. ეს გახლავთ საქართველოს მასშტაბით პირველი ოფიციალური შეჯიბრი ბოლდერიანობაში, რომელიც ყოველწლიურად შედგება

და ტრადიციად დამკვიდრდება. ...1984 წლის 28 თებერვალს ზამთრის უმზიდან დაშვებისას საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები: გიორგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, მურად ჭიჭინაძე, დავით კობახიძე, გია თუშური და ირაკლი გელდიაშვილი უცაბედად მონაწილეობა ზევაზე იმსხვერპლა. ხვალ კი გელდიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად მისი სახელობის მემორიალი ეწყობა.

## მარკოივილი მეოთხედფინალშია, ელისი პლეი-ოფს მიღმა დარჩა

ფიბას ევროჩემპიონატის გათამაშებაში გაიკვამოთხედფინალისტა ვინაობა, რომელთა შორის მოხვდა მანუჩარ მარკოივილის "ბკ კიევი", ტაირონ ელისის "კახასოლი" კი ტურნირს მიღმა დარჩა.



მანუჩარ მარკოივილი ევროჩემპიონატის გათამაშებაზე ასპარეზობას აგრძელებს

ტოპ-16-ის გათამაშების დასკვნით ტურში "ბკ კიევი" საქართველოს თვალსაზრისით არავითარი მოტივაცია აღარ ჰქონდა და უკრაინული გუნდი იტალიურ "ვირტუსთან" საშინაო მატჩში 57:69 დამარცხდა. მიუხედავად ამისა, 4 მოგებითა და 2 მარცხით 4 ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალშიც გავიდა. "მანუს" წყალობით უკრაინელებმა პლეი-ოფის საგზური ჯერ კიდევ გასულ ტურში დაიბევეს.

ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის მატჩში ქართველმა კალათბურთელმა 36 წუთს ითამაშა და მასპინძლებს 14 ქულა, 3 მოხსნა, 6 პასი და 2 ჩაჭრა შესძინა.

მანუჩარმა ორჯერ დაკარგა ბურთი, მოედანი კი ხუთი პერსონალურის გამო დატოვა.

მარკოივილმა 11-დან 5 ორქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ზუსტად ტყორცნა, 5 სამქულიანი კი ააცილა.

მეოთხედფინალში "ბკ კიევის" მეტოქე იქნება ბელგიური "შოლე ბასკეტი", რომელმაც 1 ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო.

კ ჯგუფში მოასპარეზე ტაირონ ელისის "კახასოლს" სწორედ ბოლო ტურში უნდა მოეპოვებინა პლეი-ოფის საგზური, თუმცა ესპანელები რუსულ

"ურალ გრეიტთან" საშინაო შეხვედრაში 76:81 დამარცხდნენ და 6 მატჩში ორად ორი მოგებით პლეი-ოფს მიღმა დარჩნენ.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გათამაშებელმა 35 წუთში 16 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

ტაირონმა ორჯერ დაკარგა ბურთი, სამი ჯარიმო მიიღო, დასკვნით წუთებზე კი ორი სამქულიანი ააცილა და მატჩი ვერ გადაარჩინა.

სულ ელისმა 6-დან 2 სამქულიანი და 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, 6 საჯარიმოდან კი არც ერთი არ აუცილებია.

ამ გამარჯვების წყალობით "ურალ-გრეიტი" რუსულ კლუბ "ტრიუმფზე" გავიდა. დანარჩენ მეოთხედფინალებში "ვირტუსს" გერმანულ "ტელეკომ ბასკეტს" გაეჯიბრება, კვიპროსული აელ-ი კი - ჰოლანდიურ "ამსტერდამს".

მეოთხედფინალური სერია ორ მოგებამდე გაგრძელდება, მატჩები კი 17, 19 და, თუ საჭირო გახდება, 25 მარტს გაიმართება. გადამწყვეტი თამაშები ჩატარდება იმ გუნდების მოედნებზე, რომლებმაც ჯგუფურ ეტაპზე პირველი ადგილები დაიკავეს.

### "ვერდერი" არ ჩქარობს

ბრემენის "ვერდერი" ლონდონის "ჩელსიდან" ერთი სეზონით ნაქირავები 30 წლის პერუელი მეგობლის კლაუდო პისაროს საბოლოოდ გადაბირებას არ ჩქარობს.

"სპორტული და ადამიანური თვალსაზრისით, ჩვენ, ცხადია, ძალიან გვინდა კლაუდიოს დატოვება, მაგრამ, ამავე დროს, ვალდებულნი ვართ, დავლოდოთ პერუში მიმდინარე გამოძიების დასრულებას", - აღნიშნა "ვერდერის" მენეჯერმა კლაუს ალოფსმა.

პერუში პისაროს ბიზნესპარტნიორისა და მრჩევლის კარლოს დელგადოს საქმეს იძიებენ - ის ფულის გათეთრებასა და გადასახადების დაფარვაში ეჭვმიტანილი. პისაროს, რომელსაც დელგადოს სააგენტოში თანამოხანაილეობა ბრალდება, ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიების წინაშე მონაწილე ნარდგომა მოუწევს.

სხვათა შორის, დელგადოს საქმის ძიებისას ამოტივიცვდა "ვერდერის" საქმეთა მმართველ იურგენ ლ. ბორნის სახელიც - გაჩნდა ეჭვი, რომ მან ერთ-ერთი მოთამაშის, კერძოდ, რობერტო სილვას ტრანსფერიდან გარკვეული თანხა მიისაკუთრა. ბორნმა ეს ფაქტი უარყო, თუმცა გამოძიების დასრულებამდე თანამდებობა დატოვა.

რაც შეეხება პისაროს, ის "ვერდერს" მიმდინარე სეზონში ყველა ფრონტზე ჯამში 19 გოლით შეენია და კლუბიც მზად იყო "ჩელსისთან" მისი საბოლოო გადაბირების თაობაზე მოლაპარაკება გაემართა.

### დემანს კარიერის გაგრძელება სურს

"შტუტგარტის" 39 წლის მეკარე იენს ლემანმა, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება, გუნდში დარჩენის სურვილი გამოთქვა.

"კონტრაქტს სიამოვნებით ვავახანგრძლივებდი", - აღნიშნა ვეტერანმა მეკარემ.

ხელშეკრულების გახანგრძლივებას კლუბი მას ჯერ კიდევ იანვარში სთავაზობდა, მაგრამ მან პასუხის მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. დრო გავიდა და ლემანის პასუხიც ცნობილია: მას დარჩენა სურს!

"მარტის ბოლომდე გადაწყვეტილებას მივიღებთ", - განაცხადა მისი "პასუხის პასუხად" "შტუტგარტის" მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა.

### ჰამილტონი ორდენით დააჯილდოეს

გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელიზაბეტ მეორემ ფორმულა 1-ში 2008 წლის ინგლისელი მსოფლიო ჩემპიონი ლუის ჰამილტონი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვა.

ცერემონიაზე, რომელიც ბუკინგემის სასახლეში გაიმართა, 82 წლის დედოფალმა ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონს ორდენი საკუთარი ხელით დააბნია მკერდზე.

"ძალიან ვენერვიულობდი, - თქვა "მაკლარენ-მერსედესის" 24 წლის მრბოლმა, - დედოფლის განსაკუთრებულობას ყველაზე მეტად სწორედ მის წინაშე დგომისას ხვდები. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უძლიერესი შთაბეჭდილება იყო."

ტიტულის დაცვას "ბრიტანეთის იმპერიის ორდენის" ახალი წევრი 29 მარტს ავსტრალიის გრან-პრიზე იწყებს.

### "ჰონდა" ფორმულა 1-ს დაემშვიდობა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე "ჰონდას" ხელმძღვანელობამ გუნდი სპორტულ დირექტორს როს ბრაუნს მიჰყიდა და ამერიკიდან "ჰონდას" ადგილს ფორმულა 1-ში Brawn GP დაიკავეს. მეპატრონე და სახელმწიფო გუნდში თავიანთი ადგილები შეინარჩუნეს პილოტებმა - ჯენსონ ბატონმა და რუბენს ბარიკელომ. იაპონური კონცერნი კი ფორმულა 1-ს მთლიანად ემიჯნება. Brawn GP-ის შეფმა უკვე აუწყა "ჰონდას" ხელმძღვანელებს, რომ მომავალი სეზონიდან მათი ძრავით აღარ ისარგებლებს. ბრაუნმა "მაკლარენს" დაუკავშირდა და "მერსედესის" ფირმის ძრავების გამოყენების თაობაზე სიტყვიერი შეთანხმება დაიდო.

ხმაურიანი გარიგების ფინანსური დეტალები ოფიციალურად არ ხმაურდება, თუმცა, ბრიტანული გამოცემა SportsPro-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კონტრაქტის საერთო ღირებულება 200 მილიონ დოლარს აღემატება. ამ თანხის სანაცვლოდ, ბრაუნმა იაპონური ავტოკონცერნისგან მიიღო 110,9 მილიონად შეფასებული უძრავი ქონება, იჯარით აღებული ტერიტორია და მასზე მდებარე ნაგებობები (38,4 მილიონი), სანარმოო მოწყობილობები და დაზვერვა (36,9 მილიონი). გამოცემისვე ცნობით, ამის გარდა, Brawn GP-ის ანგარიშზე "ჰონდას" პერსონალისთვის 2009 წლის ბოლომდე გადასახდელი სახელფასო თანხა - 50,2 მილიონი გადაიხდა.

ბრაუნის ახალმა გუნდმა 40,2 მილიონი კომპანია Formula One Management-ისგანაც მიიღო. ბერნი ეკლსტონის კომპანიამ ეს ფული შარშანდელი ტენერეპორტაჟებიდან შემოსული თანხიდან გამოყო.



# The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20<sup>th</sup> of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



შვედეთის არეში მიმდინარე სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე თანასწორი არ ყოფილა ნორვეგიელ აქსელ ლუნდ სვინდალს. ისიც ვთქვათ, რომ სკანდინავიელის ფეხმარდობა თვალშისაცემი იყო სწრაფდაშვებაში. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საერთო ჩათვლაში საბსოლუტური ჩათვლა მსოფლიო თასზე წარმატებისთვის და შესაბამისად ბროლის გლობუსის დაუფლება მამდე სვინდალს კიდევ სამ ეტაპზე ასპარეზობა უნევს. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა სუპერ კომბინაციისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელმა სუპერ გიგანტში გუშინ ტრასა 22.46 წამში ჩაისრია და უახლოეს მდევარ შვეიცარიელ დიდო კუშეზე 0.20-წამიანი უპირატესობა იგდო ხელთ, მესამე ადგილზე კი მასპინძელი ჰანს ოლსონი გავიდა, რომელიც თავის მხრივ შვეიცარიელს 0.16 წამით ჩამორჩა. და კიდევ, სწრაფდაშვებაში მცირე ბროლის გლობუსი დარჩა ავსტრიელ მიხაელ ვალსხოფერს, რომელსაც ამავე დისციპლინის ბოლოს ეტაპზე მონაწილეობა არც კი მიუღია.





### ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული I საბარგოს ქუჩისა და III მასივის IX კვარტლის ცენტრალური ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა ობიექტის მოკლე დახასიათება:

1 საბარგოს ქუჩა. ინყება თბილისი-აეროპორტის ტრასიდან. სიგრძე 330 მ, საერთო ფართობი 3111 მ<sup>2</sup>;  
 III მასივის IX კვარტლის ცენტრალური ქუჩა. სიგრძე 333 მ, საერთო ფართობი 3260 მ<sup>2</sup>.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 ივლისამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ერთ დახურულ კონვერტში დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 1 აპრილის 11 საათიდან 14-სთამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობას სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) სამენარმეო რეესტრის ამონაწერს.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დანესტრუქციის მიხედვით, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაციას ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ინფორმაციას სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ე) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. პრეტენდენტის მიერ სატენდერო განაცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადების ლირებულებითი პარამეტრები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის აN200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი: 300773174; დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი, რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 12 მარტიდან 2009 წლის 31 მარტის 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

9. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი-საბანკო გარანტიის ფორმით, სატენდერო წინადადების ლირებულების 1%-ის ოდენობით.

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი-საბანკო გარანტიის ფორმით, ხელშეკრულების ლირებულების 2%-ის ოდენობით.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: რამაზი დილმელაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 893100011, მისამართზე: ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

სატენდერო კომისია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2009 წლის 10 იანვარს საფოსტო მოსახურების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის შედეგები (დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2009 წლის 10 იანვარს საფოსტო მომსახურების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოცხადდა შპს. საქართველოს ფოსტა, რომელთანაც ხელშეკრულება დაიდო 10 თებერვალს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2009 წლის 10 იანვარს საფოსტო მომსახურების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოცხადდა შპს. საქართველოს ფოსტა, რომელთანაც ხელშეკრულება დაიდო 10 თებერვალს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2009 წლის 4 თებერვალს საავტომობილო საავტომობილო საწვავის შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის შედეგები (დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2009 წლის 4 თებერვალს საავტომობილო საწვავის შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოცხადდნენ: ლოტი N1 - შპს. "რომპეტროლ საქართველო"; ლოტი N2 - სს. "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია". ხელშეკრულები დაიდო მიმდინარე წლის 4 თებერვალს.

„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვაქვეყნებთ ინფორმაციას: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ საკანცელარიო საქონლის შესყიდვის მიზნით, გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 17 იანვარს გამოცხადებულ ტენდერზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოცხადდნენ და ხელშეკრულებები გაფორმდა:

ლოტი N1 - შ.პ.ს. "პაპერ ჯორჯია დლ";  
 ლოტი N2 - ი.მ. "გიორგი კანდელაკი ვესტა";  
 ლოტი N3 - შ.პ.ს. "ტექნოსერვისი".  
 სატენდერო კომისიის აპარატი.

### ჰაიდელბერგცემენტი HEIDELBERGCEMENT

#### შპს "ჰაიდელბერგცემენტი კაუკასუსი" აცხადებს ფასთა გამოკითხვას

დემონტაჟსა და მონტაჟზე:

1. რუსთავის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე რკინიგზის N1 და N5 ხაზის
2. კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე რკინიგზის N1 და N2 ხაზის

ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

შპს "ჰაიდელბერგცემენტი კაუკასუსი"  
 წინამძღვრიშვილის ქ. N 90  
 ტელ: +995 77 57 75 12;  
 +995 32 47 47 47  
 ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com  
 თამარ დარახველიძე

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 18 მარტი

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის**  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**  
**N130**

**9 მარტი 2009 წელი ქ. საჩხერე**

**საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანა "მიცუბში პაჯერო-2500 ტდ"-ზე -სახელმწიფო ნომერი 333 379 მესამეჯერ გამოცხადებული აუქციონის პროცესის შეწყვეტის შესახებ**

"სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. შეწყვეტილი იქნეს მესამე აუქციონის პროცესი საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანა "მიცუბში პაჯერო-2500 ტდ"-ზე -სახელმწიფო ნომერი ppp 379, (გამგებლის ყოფილი პერსონალური ავტომანქანა
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა N 3).

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ზ. ცერცვაძე

**ბანცხადება**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მიმდინარე წლის 22 იანვრის N12 გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ კომუნალური მომსახურების შესასყიდ ტენდერში გამარჯვდა ინდემნარმე ვახტანგ სახვაძემ" და მასვე გაუფორმდა ხელშეკრულება.

**სატენდერო კომისია**

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის**  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**  
**N131**  
**9 მარტი 2009 წელი ქ. საჩხერე**

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაზე გამოცხადებული განმეორებითი აუქციონის პროცესის შეწყვეტის შესახებ

"სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. შეწყვეტილი იქნეს განმეორებითი აუქციონის პროცესი საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაზე.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა N 3).

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ზ. ცერცვაძე





# ბანცხალვა ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ტენდერს ორი ლიფტის შესყიდვის განხორციელებლად თანმდევი მომსახურებით (დემონტაჟი-მონტაჟი გაშვება გაწეობა).

№1 და №2 ადმინისტრაციული ლიფტი ზედა სამანქანო განყოფილებით

№	დასახელება	განზომილების ერთ.	რაოდენობა	მასხაბათებლები
1	ტვირთაძვეობა	კგ	630	7 კაცი
2	განგრებათა რაოდენობა	ხართული	7	-
3	სიმაღლე	მ	32	-
4	სინქარე	მ/წმ	1	-
5	შახტის ზომა	მმ	2080X1820	სეისმური
6	კარის გადების სიგანე	მმ	700	-
7	კაბინა	ც	1	უქანგავი ლითონი სარკე უქანა კედელზე ქრომირებული მთაჯირი
8	კარები	ც	7	უქანგავი ლითონი
9	კარის ჩარხი	ც	7	უქანგავი ლითონი (200 მმ)
10	სამუხრუჭე სისტემა	ც	1	სინქარის მარტულდარბლით
11	მართვის სისტემა	ც	1	პროცესორული
12	გამოსახების და ბრძანების დიდიკები	ც	14	-
13	ინდიკაციის ტაბლო ყველდ ხართულზე	ც	7	მატრიცული
14	კაბინის მონიტორი	ც	1	თხევად კრისტალური

საქონლის (2 ლიფტის) და თანმდევი მომსახურების (დემონტაჟი-მონტაჟი გაშვება გაწეობა) მოწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2.

მოთხოვნილ საქონელზე სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა გადასახადის გათვალისწინებით მათ შორის ტრანსპორტირების სარჯებიც **DDP პირობით (incoterms 2000)**.

დემონტაჟისთანავე ლიფტების ტრანსპორტირება, დასაწყობება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის სასაწყობო შეურთებაში, მის: ქ. თბილისი, ქინძიშვილის ქ. №29.

მისაწოდებულ საქონელზე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები ან/და პასპორტი და ფოტოსურათები.

### აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უსრულებელი ფასის საბაზო გარანტია სატენდერო წინადადების დირექტორის 1%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უსრულებელი ფასის საბაზო გარანტია სახელშეკრულებო დირექტორის 5%-ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ანგარიშზე: ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 22101502, ა/ა 283534100, საიდ. კოდი 204995176 მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და ტენდერის ნომერი **T 0209-G-008**.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, რის შემდგომაც

მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 1 აპრილს 17:00 საათამდე. დაფინანსების წყარო – შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ხაზსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 2 აპრილს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების სამსახურში მესამე ხართული ოთახი №311.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2009 წლის 2 აპრილს 15:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სათაო ოფისის შენობა (სათათბირო დარბაზი).

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

### იურიდიულ პირობათვის:

1. ამონაწერი სამწარმო რეესტრიდან.
2. ცნობა ევალის არ არსებობის შესახებ (ხაჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო).
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

### ფიზიკური პირებისათვის:

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან ხანციის საქმე (პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანიზაციის ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის სახით.

ყველა საგადასახადო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სატენდერო კომისიის ტენდერი № **T-0209-G-008**.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერევის და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა საკვალიფიკაციო მონაცემებს ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, ასევე თუ პრეტენდენტის მიმართ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. №2. ტელ: (+995) 98 98 16; მობ. 877 23 23 55 შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი გიორგი გიორგაძე.

## იყიდება ფართი ჭავჭავაძის 17ა-ში

ფართობი: საოფისე ფართი ევრორემონტით 1 684 კვ.მ.  
სარდაფი 334 კვ.მ.  
ავტოფარეხი 525 კვ.მ.

სულ: 2 543 კვ.მ.

ფასი: 1 900 000 დოლარი

(შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში)

ტელ: 22 17 65; 877 955 707.

## ინფორმაცია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2009 წლის ასიგნებების ფარგლებში, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 26 თებერვლის N33 დადგენილების საფუძველზე, სამინისტროს მიერ განხორციელდა სარეკლამო ტელე-პროდუქციის დამზადება - გავრცელების მომსახურების შესყიდვა, გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N52/ბ 27.02.09 შ.პ.ს. "ემ მედიატორთან", სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 297 804.2 ლარს.

## ინფორმაცია

### ხელშეკრულების დადების შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 26 თებერვლის N138 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ 2009 წლის 2 მარტს გააფორმა ხელშეკრულება სს "ენერგო პრო ჯორჯიასთან", ქალაქ გორში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მშენებარე საცხოვრებელი სახლების ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე.

დადებული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 385 510 (სამასოთხმოდახუთიათას ხუთასათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოების დასრულების ვადაა არაუგვიანეს 2009 წლის 1 ივნისი.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

## ინფორმაცია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2009 წლის 10 მარტს, პოლიგრაფიული საბჭედი მასალების შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადების საქონლის მინოდების გრაფიკის ცხრილში გაიპარა ტექნიკური უზუსტობა. ნაცვლად მითითებული მინოდების ადგილის-ბათუმი, უნდა იყოს **თბილისი**.



### ბანსხალეა ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ენგურპეის", იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 50, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბურთო აცხადებს ტენდერს ჯანმრთელობის დასაცემის მომსახურების შეწყვეტის მისნით.

- დაფინანსების წყარო - შპს "ენგურპეის"-ს ბიუჯეტი.
- დასაცემის მოსარგებლე შპს "ენგურპეის"-ს თანამშრომლები.
- მომსახურების განხორციელების ვადა თავდაპირველად 1 (ერთი) წელი.
- დასაცემის პაკეტი - შპს "ენგურპეის"-ს თანამშრომელთა ინდივიდუალური დასაცემა.

1. დასაცემის მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი მოცულობით:

პოზიცია	მომსახურება	მოთხოვნილი პირობები
1	ვადაუდებელი და გეგმიური პოსტიგალიზაცია, პოსტიგალიზაციის დროს საჭირო კონსულტაციები და გამოკვლევები	100% ლიმიტი 8000 ლარი
2	შშობიარობა (ორსულობის მონიტორინგის ჩათვლით)	80% ლიმიტი 800 ლარი
3	ვადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება და მკურნალობა (ექიმ სპეციალისტების კონსულტაციები, ლაბორატორიული-ინსტრუმენტული გამოკვლევები)	80% ლიმიტი 1200 ლარი
4	გეგმიური ამბულატორიული მომსახურება და მკურნალობა (ექიმ სპეციალისტების კონსულტაციები, ლაბორატორიული-ინსტრუმენტული გამოკვლევები)	80% ლიმიტი 1000 ლარი
5	ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები	100% ულიმიტოდ
6	პროფილაქტიკური გამოკვლევა	წელიწადში ერთხელ 100% ულიმიტოდ
7	სასწრაფო სამედიცინო დახმარება	100% ულიმიტოდ
8	ვადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება	100% ულიმიტოდ თავისუფალი არჩევანი
9	მკურნალობა მწვეველის მიერ მითითებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში	70% ლიმიტი 700 ლარი
10	უბედური შემთხვევით გამოწვეული ვარდაცემა	8000 ლარი
11	სიცოცხლის დაზღვევა	8000 ლარი
12	ონკოლოგიური და სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამით გათვალისწინებული თანაგადახდის დაფინანსება	სრული დაფარვა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად.
13	თვალის ოპერაცია ღირებულების გარეშე	80% ლიმიტი 1000 ლარი
14	ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობა	100% ლიმიტი 10000 ლარი
15	უმუშევრობის დაზღვევა	ლიმიტი მთლიანი კონტრაქტის მოქმედების პერიოდში 75 000 ლარი. ერთი თანამშრომელზე მაქსიმალური ლიმიტი 1 500 ლარი.
16	სადამლეო კომპანიის მიერ შემოთავაზებული სხვა მომსახურება	

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, (ერთი არტიკლი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 2 აპრილის 10 საათიდან 2 აპრილის 14 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამ. 50, მე-3 სართული, ენგურპეისის ოფისი. პაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე.

3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირის შემთხვევაში:

- ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები;
- ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციის;
- გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- დ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- ე) ცნობა საჯარო რეგისტრაციის, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- ვ) ინფორმაცია საქართველოს გერეგორიამე არსებული მომსახურების ოფისების (კორდინატორების) და პროვინციური კლინიკების შესახებ.
- ზ) ბოლო სამი წლის განმავლობაში მსგავსი მომსახურების განხორციელების გამოცდილება.

3.2 ფიზიკური პირის შემთხვევაში (ინდ.მეწარმე):

- ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება.
- ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციის.
- გ) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, გელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- დ) ინფორმაცია საქართველოს გერეგორიამე არსებული მომსახურების ოფისების (კორდინატორების) და პროვინციური კლინიკების შესახებ;
- ე) ბოლო სამი წლის განმავლობაში მსგავსი მომსახურების განხორციელების გამოცდილება.

4. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, შეეძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქეითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მისამართის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 12 მარტის 10 საათიდან 2009 წლის პირველი აპრილის 18-საათამდე, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურპეისის ოფისი. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამ. 50, მე-3 სართული ენგურპეისის ოფისი.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტების:

მისამართი: შპს "ენგურპეის".

სს „პროკედიტ ბანკის“ ქუთაისის ფილიალის  
ზუგდიდის განყოფილება  
ს/კოდი 251716371; ა/ა 301467126; პ/კ 220101929

6. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას, ხოლო შემდგომ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 3%-ის ოდენობით.

7. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული და არ იქნება დაშვებული შეჩვენებაში.

8. წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა იყოს ხელმოწერილი სათანადოდ უფლებამოსილი ან ხელმძღვანელი პირის მიერ. ხელმოწერილი სატენდერო წინადადება არ განიხილება.

9. ტენდერის საშუალებით გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურპეისის" შესყიდვების სამსახურს ტ. 895 22 70 60; 8 215 5 22 94, თბილისის ოფისი 822 29 43 62.

სატენდერო კომისია

### ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების დადების თაობაზე

ქ. მარნეული 12 მარტი 2009 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 28 იანვარს გამოქვეყნებული ტენდერის საშუალებით ლოტი N1 - 1 (ერთი) ერთეული 5 (ხუთი) ადგილიანი 4 (ოთხი) კარიანი ავტომანქანის სახელმწიფო შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოვლინდა - შ.პ.ს "ტოიოტა ცენტრი თბილისი", რომელთანაც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წლის 23 თებერვალს შესყიდვის საერთო ღირებულებით - 44 000 (ორმოცდაოთხათასი) ლარი, დ.დ.გ-ს ჩათვლით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 04 თებერვალს გამოქვეყნებული ტენდერის საშუალებით მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2009 წლის ბოლომდე დაგვა-დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე (კერძოდ: ლოტი N1 - ქუჩების, ტროტუარების, სკვერების, გზების სავალი ნაწილის დასუფთავება; დასახლებული ადგილებიდან და სხვადასხვა დანიშნულების პუნქტებიდან ნაგვის დატვირთვა-გატანა; სკვერების, ქუჩების და ბაღების ნარგავების მოვლა-პატრონობა. ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დანესებული მოსაკრებლის ამოღებაზე "დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის"; ლოტი N2 - ნაგავსაყრელზე ტრანშეების ამოთხრა, ნაგვის ჩაყრა და გადაფარვა) ორივე ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდა - შ.პ.ს "კომუნალური მეურნეობა-ა", რომელთანაც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წლის 02 მარტს შესყიდვის საერთო ღირებულებით - ლოტი N1 - 407 796 (ოთხასშვიდათასშვიდასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი, დ.დ.გ-ს ჩათვლით, ლოტი N2 - 54 436 (ორმოცდაათოთხმეტიათასოთხასოცდათექვსმეტი) ლარი დ.დ.გ-ს ჩათვლით

სატენდერო კომისია

### ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულების გამოვლინის შესახებ

1) ა/წლის 13 თებერვალს შსს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების კვებით მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში ლოტი N3-ზე გამარჯვებულად გამოვლინდა ი/მ "ქეთევან სარკიაშვილი".

2) ა/წლის 18 თებერვალს სხვადასხვა სახის საბურავებისა და აკუმულატორების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში ლოტი N1 და ლოტი N2-ზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი".

3) ა/წლის 19 თებერვალს სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (სერვისი) შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: შ.პ.ს. "ჯი-თი-ეს" ლადა ვაზი ლოტი N8; შ.პ.ს. "იბერია სერვისი" ლოტი N6; შ.პ.ს. "რარუ" ლოტი N5; N11; შ.პ.ს. "აუტოპაუზი" ლოტი N4 და ლოტი N13; შ.პ.ს. "ავტოსტილი" ლოტი N7;

4) ა/წლის 20 თებერვალს უნიფორმის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: შ.პ.ს. "ნიტექსი" ლოტი N4, N6; შ.პ.ს. "მოდელის სახლი მატერია" ლოტი N2; შ.პ.ს. "სამკერვალო მაუდი" ლოტი N8; შ.პ.ს. "სატახა" ლოტი N3; შ.პ.ს. "ზაპა-ტექსი" ლოტი N10; შ.პ.ს. "რეინჯერ ელს" ლოტი N5; შ.პ.ს. "მილერი და კომპანია" ლოტი N7;



### ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- სსიპ თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი აცხადებს ტენდერს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებისა და ნაგვის გატანის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს
- შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

N°	შესყიდვის ობიექტი	განსომილვე ზის ერთეული	მომსახურების სავალდებულო ვადა (დღეების/პერიოდულობის მითითებით)
1	ქ. საჩხერე, კოსტავას ქუჩის დაგვა დასუფთავება	8680 მ2	ყოველ დღე, გარდა კვირისა ხელშეკრულების დადებიდან 2010 წლის 1-ლ იანვრამდე
2	ქ. საჩხერე, სტალინის ქუჩის დაგვა დასუფთავება	17138 მ2	ყოველ დღე, გარდა კვირისა ხელშეკრულების დადებიდან 2010 წლის 1-ლ იანვრამდე
3	ქ. საჩხერე, თავისუფლების ქუჩის დაგვა დასუფთავება	4950 მ2	ყოველ დღე, გარდა კვირისა ხელშეკრულების დადებიდან 2010 წლის 1-ლ იანვრამდე
4	ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქუჩის დაგვა დასუფთავება	1600 მ2	ყოველ დღე, გარდა კვირისა ხელშეკრულების დადებიდან 2010 წლის 1-ლ იანვრამდე
